


**პრაქტიკული სასემინარო
ოჯახური კალაღობის საკითხებზე
მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის**

თბილისი
2009



წიგნი მომზადებულია ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის პროექტის – „საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესასრულებლად“ – ფარგლებში.

პროექტს ასორციელებენ ორგანიზაციები:



ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის



სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება

ქალთა იმედი



პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს საიტი www.nasilie.net

წიგნის ელექტრონული ვერსია და ოჯახში ძალადობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.ginsc.net

სატრენინგო მოდული მომზადდა უკრაინულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და საბოლოო ქართული ვერსია შემუშავდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდთან თანამშრომლობით.

ტრენინგმა პილოტირება გაიარა 2009 წლის 23-24 იანვარს, გორში, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი სოციალური მუშაკების მონაწილეობით.

წიგნზე მუშაობდნენ:

ოლენა ბანასი

ქიმიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულებისა და აივ/შიდსის
პრევენციის ფონდის დირექტორის მოადგილე

ელენე რუსეცკი

პროექტის დირექტორი

რედაქტორი:

თამარ გოგოლაძე

ყდის დიზაინი:

ელენე ნავერიანი

დაკაბადონება:

პაატა მამფორია



დაიბეჭდა „ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში“

ტელ.: (995 32) 942 699.

ელ-ფოსტა: wps@ginsc.net

შინაარსი

წინასიტყვაობა	6
სამოქმედო გეგმა სოციალური სამსახურის სპეციალისტებისათვის	7
გადაწვის სინდრომის პროფილაქტიკა	9
მხარდაჭერა კრიზისულ სიტუაციებში	17
კონსულტირების უნარ-ჩვევები	20
დახმარების სამსახური.	24
ფსიქოლოგებისა და სოცმუშაკების მომზადება	26
ინტერვენცია (ჩარევა/რეაგირება).	34
დასარიგებელი მასალა	41

წინასიტყვაობა

დ ვირფასო მეითხველო!
თქვენს ხელთაა პუბლიკაცია, რომელიც შედგება სატრენინგო მოდულის აღწერით და განკუთვნილია სოციალური მუშაკებისათვის. წიგნი მომზადებულია პროექტის ფარგლებში „საუწყებო-საშინაო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის შესასრულებლად“, რომელსაც ანორციელებს ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის მხარდაჭერით.

თქვენს წინაშე წარმოდგენილია მოდულმა ტრენინგის ორ ციკლად გაიარა აპრობაცია სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი სოციალური მუშაკების მონაწილეობით. ჩვენი მიზანი იყო პრაქტიკოსი სოცმუშაკებისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია

ოჯახში ძალადობის ფენომენსა და მსხვერპლთან მუშაობის სპეციფიკაზე. საქართველოში სოციალური მუშაკების სპეციალური მომზადება არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფორმალური და არაფორმალური განათლების ძალისხმევის გაერთიანება კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად მათთვის, ვისაც სწორად პირველი უწევს მსხვერპლთან ან მოძალადესთან კონტაქტში შესვლა. გამოცემა შეიცავს სატრენინგო მოდულის მოკლე და დეტალურ აღწერას და სასწავლო მასალებს. იმედი გვაქვს თქვენ შეძლებთ წარმატებით გამოიყენოთ სატრენინგო მოდული თქვენს საქმიანობაში, გაამდიდრებთ მას თქვენი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემატიკა იპოვის თავის ასახვას სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებში სოციალური მუშაკებისათვის, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება იქნება რესურსი მსგავსი პროგრამების მოსამზადებლად. დღეს ჩვენ ვდგამთ პირველ ნაბიჯს.

✍ პროექტის გუნდი

არ შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება. მის ცნობრებაში უკვე არის ადამიანი (მოძალადე), რომელიც ერთპიროვნულად განკარგავს მის ცნობრებას, რომელიც უთითებს თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს;

- მიაწოდეთ დაზარალებულს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ და მასთან ერთად განიხილეთ სამართალდამცავ ორგანოებისათვის მიმართვის შესაძლებლობა. ნუ იქონიებთ მასზე ზეგავლენას. ყველა ქალი არ არის მზად რადიკალური ცვლილებებისათვის. მიეცით შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს რა გააკეთოს. დაეხმარეთ უსაფრთხოების გაგმის შემუშავებაში თუკი ის გადაწყვეტს დაბრუნებას მოძალადესთან;
- მიაწოდეთ ინფორმაცია ყველა შესაძლო სამსახურის შესახებ, რომელსაც შეიძლება მიმართოს დახმარებისთვის.

თუ დასახმარებლად მოგმართავენ დაზარალებულის ნათესავი ან ნაცნობი:

- ნათესავები ან მეგობრები შეიძლება იყვნენ ძალადობის მოწმეები ან ჰქონდეთ არაპირდაპირი ცნობები მის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაარწმუნოთ ისინი, რომ აუცილებელია დაზარალებულთან პირადი შეხვედრა;
- ის ადამიანები, რომლებმაც მოგმართეს და რომლებიც ოჯახში ძალადობის მოწმენი არიან, ასევე განიცდიან ფსიქოლოგიურ ტრამვას და თვითონაც საჭიროებენ დახმარებას. გაარკვიეთ რითია ასე ძლიერ შემაშფოთებელი

მათთვის შექმნილი მდგომარეობა. განიხილეთ შესაძლო ქმედებები.

თუ სოცმუშაკი ხედავს ოჯახში ძალადობის შესაძლო ნიშნებს ან აშკარა შედეგს:

- აუცილებელია დაზარალებულის ინფორმირება მისი უფლებების, სამართალდამცავ ორგანოებისათვის მიმართვისა და დახმარების სხვა შესაძლებლობების შესახებ;
- აქტუალური ძალადობის შემთხვევაში აუცილებელია იმის გარკვევა, რამდენად უსაფრთხოაა ამჟამად კლიენტი, და თუ სიტუაცია საშიშია, სასწრაფოდ დაეხმარეთ რათა გახადოთ ის შეძლებისდაგვარად უსაფრთხო ცნობრებისა და ჯანმრთელობისთვის. თუკი არის სერიოზული დაზიანებები (ზოგჯერ, როდესაც კლიენტი შოკშია, არასწორად აფასებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობას), მიეცით რჩევა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და პოლიცია;
- თუ დაზარალებული ბავშვია, მაშინ სოცმუშაკი ვალდებულია მისი უფლებების დარღვევისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ინფორმაცია მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს.

გადაწვის სინდრომის პროფილაქტიკა

გადაწვის სინდრომი

გადაწვის სინდრომის ფუძემდებელი ს. მას-ლაკი ამ ცნებას განსაზღვრავს როგორც ფიზიკურ და ემოციონალური გამოფიტვის სინდრომი, მათ შორის უარყოფითი თვით-შეფასების განვითარების, სამსახურისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა და კლიენტის მიმართ გაგებისა და თანაგრძნობის დაკარგვის ჩათვლით. გადაწვა არის არა შემოქმედებითი პოტენციალის დაკარგვა, არა რეაქცია მოწყენილობაზე, არამედ უფრო „პიროვნებათაშორის ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი სტრესის ფონზე ემოციონალური გამოფიტვა“.

გადაწვა შეიძლება გაუთანაბროთ დისტრესის უკიდურეს გამოვლენას და ადაპტაციის ზოგადი სინდრომის შესაბამე სტადიას, - გამოფიტვის სტადიას. გამოფიტვის სტადიაში ინდივიდი უუნაროა რაიმე წინააღმდეგობის ან შეგუებისათვის. თუმცა სტრესი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომლის გარეშეც მოვკვდებოდით, ცოტა ძლიერი სტრესი ტოქსიკურია. დაძაბულობის ოპტიმალური რაოდენობა თითოეული ჩვენგანისათვის ძალზე ინდივიდუალურია, თუმცა ყოველ ჩვენგანს მოეთხოვება დაადგინოს დაძაბულობის ის ზღვარი, რომელიც

აუცილებელია ნორმალური არსებობისათვის.

გამოვლენილი გადაწვა ადასტურებს პროფესიონალთა პოზიტიური გრძნობების, თანაგრძნობისა და პატივისცემის დაკარგვას კლიენტებისა და პაციენტების მიმართ. სინდრომის მომავალი განვითარება კრისტალდება კლიენტთა ცინიკურ და ანტიჰუმანურ აღქმაში, რომელიც მათ ნეგატიური კუთხით ახასიათებთ. „მსხვერპლი-მდევენელის“ თეორია ამტკიცებს, რომ ბევრ შემთხვევაში ეს მიდის კლიენტის მომსახურების სარისხის გაუარესებასთან.

ემოციურად გადაძვარ პროფესიონალებს სწორად არ შესწევთ უნარი გადალახონ სამსახურთან დაკავშირებული ემოციური სტრესი და როდესაც სინდრომი საკმაოდ დონით ვითარდება, ვლინდება სხვა ნეგატიური მოვლენებიც, მაგალითად, სწორი გაცდენა და კადრების სწორი გადინება. არც თუ იშვიათად გადაწვაზე რეაქცია არის სამსახურიდან წასვლა. სამსახურის შეცვლა, ადმინისტრაციულ საქმიანობაზე გადასვლა ან პროფესიის საბოლოოდ შეცვლა. გარდა ამისა, ადამიანებს, რომლებიც იწვეებიან, დეპრესიისა და მტრული განწყობილებისგან დაძაბულობის მოსახსნელად სწორად უძლიერდებათ ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. ისინი

იტყობინებიან სულიერ პრობლემათა მომატების შესახებ: ამბობენ, რომ გახდნენ ცივი და უგულო ადამიანები და ეს არ მოსწონთ, სწირად, ცდილობენ, რათა მიიღონ კონსულტაცია ან ჩაიტარონ ფსიქიატრიული მკურნალობა პირად არასრულფასოვნებასთან დაკავშირებით.

თუ ემოციონალური დაძაბულობა არ იკლებს მუშაობის პროცესში, ის სწირად იძლევა სიგნალს ოჯახში. მატულობს მეუღლეებს შორის და ოჯახური კონფლიქტების რიცხვი. კლიენტებთან გატარებული ემოციურად დატვირთული დღის შემდეგ, პროფესიონალს უჩნდება რამდენიმე სწირად ადამიანებისგან განდგომის სურვილი და მართობის ეს სურვილი, როგორც წესი, რეალიზდება ოჯახისა და მეგობრობის სარგებზე. ამგვარად, ოჯახი შეიძლება აღმოჩნდეს სწრაფი დანგრევის საფრთხის ქვეშ.

სამსახურში დაბრუნება, ზეგანაკვეთური მუშაობა, მუშაობა სანაღში, სამუშაო სადამოები და დასვენების დღეები, სასწრაფო გამოძახებები – ეს ყოველივე უბედურების სიგნალია. პროფესიონალთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობისათვის აბსოლუტურად აუცილებელია მათი სამსახურის საზღვრების გონივრული შემოფარგვლა რათა არ დაუშვან მისი გავრცელება ოჯახურ ცხოვრებაზე.

პიროვნული გადაჯინის სიმპტომები

ფიზიკური

- დაღლილობა
- გამოფიტვის გრძნობა
- გარემოს ცვლილებების მიმართ აღქმა
- სწირი თავის ტკივილი
- კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობა
- წონის სიქარბე ან ნაკლებობა
- ქოშინი
- უძილობა

ყოფაქცევითი და ფსიქოლოგიური

- მუშაობა ხდება სულ უფრო მძიმე, სოლო მისი შესრულების უნარი სულ უფრო მცირდება
- ადრე მოდის სამსახურში და დიდი სწირი რჩება
- გვიან მოდის სამსახურში და ადრე მიდის
- მიაქვს სამუშაო სანაღში
- განიცდის გაურკვეველ გრძნობას, თითქოს რაღაც ისე არ არის (გაუცნობიერებელი შფოთვა)
- მოწყენილობის გრძნობა
- ენთუსიაზმის დაქვეითება
- განაწყენების გრძნობა
- იმედგაცრუების გრძნობა
- მერყეობა
- დანაშაულის გრძნობა
- გრძნობა, რომ საქმრო არ არის
- მსუბუქად აღმოცენებული მრისხანების გრძნობა
- გამაღიზიანებლობა
- წერილმანებზე ყურადღების მიქცევა

- ექვნიულობა
- რიგიდულობა
- გადაწყვეტილების მიღების უუნარობა
- „თავიდან აცილების“ განშირება
- ზოგადი ნეგატიური განწყობა სიცოცხლის პერსპექტივაზე
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება

პიროვნული გადაწყვის სიმპტომები

ზემთ ჩამოთვლილი გადაწყვის სიმპტომები შესაძლებელია თვითნებურად დავეყოთ ფიზიკურ, ყოფაქცევით და ფსიქოლოგიურ სიმპტომებად. როგორც შემდგომში განვმარტავთ, ზოგიერთი ნიშანი და სიმპტომი წარმოადგენს გაუცნობიერებელ მცდელობას მიიღო შვეება პრობლემის იდენტიფიკაციის გარეშე.

გადაწვა ეს არის სინდრომი, სიმპტომთა ჯგუფი, რომლებიც ერთობლივად ჩნდებიან. თუმცა ყველა სიმპტომი ერთდროულად არავის არ უჩნდება, რადგან გადაწვა ღრმად ინდივიდუალური პროცესია.

პირველ სიმპტომებს შორის არის საერთო დადლილობის გრძნობა, სამსახურისადმი მტრული განწყობა, მღელვარების ზოგადი გაურკვეველი გრძნობა, სულ უფრო მეტად რთული სამუშაო, რომელიც სულ უფრო გვაახლოებს შედეგის შემცირებასთან. თანამშრომელს თავისუფალი სამუშაო გრაფიკით შეუძლია მოვიდეს ადრე და წავიდეს გვიან, მოვიდეს გვიან და წავიდეს ადრე, ან სამუშაო წაიღოს სასლში.

თანამშრომელი ადვილად შეიძლება განრისხდეს, გაღიზიანდეს და თავი იგრძნოს გულგატენილად, დიდი ყურადღება დაუთმოს დეტალებს და უკიდურესად ნეგატიურად იქნას განწყობილი. მეტისმეტი გადატვირთულობის გამო, რათა შეზღუდოს თავისი გრძნობები, მას შესაძლოა გაუჭირდეს კონტროლი ან კონტროლის ადექვატური ფორმით გამოსატვა.

მრისხანებაში, რომელსაც გრძნობს ინდივიდი, შეიძლება მიიყვანოს ის ექვნიულობის განვითარებასთან. თანამშრომელმა შეიძლება ივარაუდოს, რომ მომსახურეებსა და კლიენტებს მისგან თავის დახსნა სურთ. ეს მდგომარეობა შეიძლება გაძლიერდეს ნაკლები ჩართულობის გრძნობით, - განსაკუთებით მაშინ, თუ ადრე თანამშრომელი მონაწილეობდა ყველა მოვლენაში. გარდა ამისა, ნებისმიერი, ვინც რჩევას ეკითხება, სხვა თანამშრომლების ჩათვლით, მასში გაღიზიანებას იწვევს.

გადაწყვის სერიოზული გამოვლინებაა ქცევითი ცვლილებები და რიგიდულობა. თუ ადამიანი ჩვეულებრივ მოლაპარაკე და თავშეუკავებელია, ის შეიძლება გახდეს ჩუმი და განდგომილი, ან პირიქით, ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივ ჩუმი და თავშეუკავებელია, შეიძლება გახდეს საკმაოდ მოლაპარაკე, ისაუბროს ნებისმიერთან. გადაწყვის მსხვერპლი შეიძლება გახდეს უნეში და რეიგიდული აზროვნებაში. რეიგიდული და უდრეკი თანამშრომელი დახურულია ცვლილებების მიმართ, რადგან ეს მოითხოვს ენერჯიასა და რისკს, და წარმოადგენს დიდ საფრთხეს გამოფიტული პიროვნებისათვის.

გადაწვისადმი მიდრეკილი თანამშრომელი შეიძლება ეცადოს სიტუაციასთან გამკლავებას თანამშრომლებისა და კლიენტებისგან თავის არიდების, ფიზიკურად და აზრობრივად მათთან დისტანციის დაჭერის გზით. თავის არიდება და დისტანცირება შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვაგვარად. მაგალითად, თანამშრომელი შეიძლება ხშირად აცდენდეს სამსახურს. ის შეიძლება პირადად არ ურთიერთობდეს კოლეგებთან და კლიენტებთან, და შეიძლება შეამციროს თავისი ჩართულობა მათთან კონტაქტში.

საბოლოო ჯამში, თანამშრომელი ვარდება დეპრესიაში და სიტუაციას აღიქვამს „უიმედოდ“. მან შეიძლება დატოვოს თანამდებობა ან შეიცვალოს პროფესია, ასევე შეიძლება მიექალოს ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს.

გადაწვა ორგანიზაციებში

გადაწვა გადამდებია და შეიძლება სწრაფად გავრცელდეს თანამშრომლებს შორის. ისევე, როგორც ინდივიდი, რომელიც იტანჯება გადაწვით, ორგანიზაციებში მჟღავნდება ამ მოვლენის შემდეგი სიმპტომები:

1. კადრების ხშირი გადინება (პერსონალის ხშირი ცვლა)
2. თანამშრომელთა ჩართულობის შემცირება სამუშაო პროცესში
3. „განტყვების ვაცის“ ძიება

4. ანტაგონისტური ჯგუფური პროცესი და წყვილ დაჯგუფებათა არსებობა
5. დამოკიდებულების რეჟიმი, რომელიც მჟღავნდება სელმძღვანელობის მიმართ მრისხანების გამოვლენაში, დაუცველობასა და უიმედობაში
6. თანამშრომლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განვითარება
7. პერსონალს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა
8. ინიციატივების პროგრესირებადი ვარდნა
9. დაუკმაყოფილებლობის გრძნობის ზრდა სამუშაოსგან
10. განყოფილების ფუნქციებსა და როლებთან მიმართებაში ნეგატივიზმის გამოვლენა

მიზნები:

- „გადაწვის“ სინდრომის პროფილაქტიკა
- პროფესიული ფორმის შენარჩუნება

სამარჯიშოები

1. „ვინ ვისთან?“

შესდეთ ჯგუფის მონაწილეებს და ყური დაუგდეთ თქვენს სურვილებს: ვისთან ერთად გსურთ წყვილად მუშაობა? დაიყავით წყვილებად, რათა ხელი არ შეუშალოთ ერთმანეთს. შემდეგ თითოეული დგება ცალ ფეხზე, სოლო მეორე ფეხს იჭერს საპირისპირო ხელით უკანა მხრიდან. მონაწილეები ერთმანეთის პირისპირ ხელჩაკიდებულები დგანან. ამოცანა: გაჩერდე რაც შეიძლება

დიდხანს: იმარჯვებს ის, ვინც პარტნიორზე დიდხანს გაძლებს.

საერთო განხილვა

2. „ბალანსირება“, 5-10 წუთი

მიზანი: გონების, გრძნობის, სხეულის გაერთიანება. ფიზიკური ძალისხმევა ააქტიურებს სუნთქვას და ხელს უწყობს ჟანგბადის შეთვისებას. სხეული ამ დროს იჭიმება.

„თავდაპირველად გთავაზობთ რომ დადგეთ ცალ ფეხზე, გაჭიმოთ ხელები სხვადასხვა მხარეს და მეორე ფეხი, ნელა და ფრთხილად, ისე, რომ იგრძნოთ წონასწორობის ზღვარი. შემდეგ გააკეთეთ ეს მეორე ფეხზე. განსაზღვრეთ რომელ ფეხზე დგომისას გრძნობთ თავს მყარად, სტაბილურად. განსაზღვრეთ დაჭიმულობის უკიდურესი წერტილი.“

ამ სავარჯიშოს შემდეგ გთავაზობთ მიიღოთ ასეთი პოზა: თქვენ დგებით ცალ ფეხზე და ხელების შემოჭიდობით იჭერთ და მაღლა სწევთ მეორე ფეხის მუსკლს. უცილებელია რაც შეიძლება მაღლა აჭიმოთ, მაგრამ მოერიდეთ მტკივნეულ შეგრძნებას. შემდეგ უშვებთ ხელს, მაგრამ აგრძელებთ მუსკლის მაღლა აჭიმვას, ხელები გაშალეთ სხვადასხვა მხარეს. გაძელოთ რაც შეიძლება დიდხანს, დაიცავით წონასწორობა, იგრძნოთ რა ესაჭიროება ამ პოზის შესანარჩუნებლად სხეულს, სხვა დანარჩენ კუნთს. იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხით.“

საერთო განხილვა

3. „სიმძიმის ძალა“

მიზანი: ამ სავარჯიშოს შესრულებისას მონაწილეებს შეუძლიათ იგრძნონ როგორ იცვლება დაღლილობა მსხეობით, თუ ჩვენ არ ვებრძვით მას, გარკვეული დროის შემდეგ უნებურად ვნებდებით.

აღჭურვილობა: ხალიჩა ან პლედი იატაკზე.

„ეს სავარჯიშო თქვენ შეგიძლიათ შეასრულოთ ფეხზე მდგარმა, მჯდომარემ, ან დაწოლილმა. სცადეთ ყველა მდგომარეობაში და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ რომელი პოზა უფრო სასიამოვნოა თქვენთვის... იგრძნოთ თქვენი სხეულის ნაწილები, რომლითაც ეხებით მიწას. უსილაგი ძალა, რომელიც მიწაშია კონცენტრირებული, იზიდავს თქვენს სხეულს, ამ იდუმალ ძალას ჰქვია სიმძიმის ძალა.“

ახლა ცოტათი დანებდით ამ ძალას, რომელიც დაბლა გექაჩებათ, იგრძნობთ სიმძიმის ძალას. ეს არის არა მხოლოდ სიმძიმის შეგრძნება, არამედ მიზიდულობაც, თუ თქვენ დგახართ – სხეული მოადუნეთ, თუ ზინართ, მაშინ ნება მიეცით თქვენს მენჯს, რომ დაემორჩილოს სიმძიმის ძალას და დაეშვას მიწაზე... თუ თქვენ წევხართ, მაშინ შეიძლება სრულებით მოდუნდეთ და იგრძნოთ როგორ გიჭერთ მიწა...“

ყველა მდგომარეობაში – დაწოლილს, მჯდომარეს თუ ფეხზე მდგომს, თქვენ დაგიჭერთ მიწა, არ დაეცემით ძირს. თქვენ იგრძნობთ მიწას ფეხქვეშ, იგრძნობთ მიწის ცენტრს, იგრძნობთ მის უდიდეს ენერგიას.

მის ძალას. შეესეთ ენერჯის ამ წყაროს, რომელიც სათავეს ბუნებაში იღებს. გაის-სენეთ ზღაპრებში როგორ ეწაფებოდნენ დევემირები დედამიწის ძალას. თქვენც იგ-რძნობთ მიწის ამ ძალას. დაეწაფეთ მას. იგრძენით დედამიწის ძალა და მიზიდუ-ლობა მასთან. იგრძენით თავი მასთან ერ-თად. მას შემდეგ, რაც თქვენ მინებდით სიმძიმის ძალას, თქვენ შეგიძლიათ მასთან დამეგობრება. შეიგრძენით სიმძიმის ძალა, როგორც ენერჯია, რომელიც არა მხოლოდ გიზიდავთ, არამედ ფესზეც წამოგაყენებთ“. მონაწილეები ასრულებენ სავარჯიშოს უს-მოდ 2-3 წუთის განმავლობაში.

საერთო განხილვა

4. „წონასწორობის მოპოვება“. 5 წუთი

მიზანი: რიტმის გამოყენება სხეულისა და სულის ბალანსის მოსაპოვებლად

„ყოველ ჩვენგანს აქვს საკუთარი ცნოვრე-ბის რიტმი. თუმცა ყოველდღიურ ცნოვ-რებასა და სამსახურში ჩვენ ვემორჩილე-ბით ყველასთვის საერთო რიტმს, რომელიც თანხვედრილი არ არის ჩვენს საკუთარ რიტმთან. ამიტომ მნიშვნელოვანია დრო-დადრო დაუბრუნდეთ საკუთარ, ჩვენთვის უფრო მეტად შესაფერის რიტმს. თუ თქვენ მიეჩვევით თქვენს რიტმზე გადართვას, მა-შინ თავს იგრძნობთ გაცილებით უკეთ. ეს თქვენი რესურსია. თქვენი მუშაობის რიტ-მში გაცილებით მეტს მოახწრებთ, ვიდრე სხვის რიტმს შეწყობილი და გადატვირთუ-ლი. არ არის საჭირო ზედმეტი დაქიშუ-ლობა (მაგალითისთვის თვალების მოძრაო-ბა და თავის მობრუნება).

ასლა თქვენ გააკეთებთ სავარჯიშოს, რომ-ლის დროსაც იგრძნობთ, როგორ უნდა მართოთ თქვენი რიტმით და შეიგრძნოთ შინაგანი წონასწორობა.

დაჯექით სკამის კიდეში, რაც შეიძლება შორს საზურგედან, რათა გქონდეთ საკმა-რისი ადგილი სწვადასწვა მხარეს გადასას-რელად. ზურგი დაიჭირეთ პირდაპირ და დაიწყეთ მსუბუქად გადასრა ერთი მხრი-დან მეორე მხარეს (აქეთ-იქით), მარჯვნი-დან მარცხნივ და პირიქით... თუ გინდათ შეგიძლიათ მოძრაობას შეუსაბამოთ სუნ-თქვა.

თანდათანობით შეამცირეთ მოძრაობის ამ-პლიტუდა თქვენს „ცენტრალურ ღერძთან“ სულ უფრო ასლოს გადახრით. იგრძენით წონასწორობის შეგრძნება როგორ ხდება სულ უფრო აშკარა. როდესაც თქვენ მი-აღწევთ სრულ წონასწორობას გაჩერდით ამ მდგომარეობაში რაღაც დროის მანძილ-ზე და იგრძენით სრულყოფილი ბალანსის შეგრძნება. (1-2 წუთი).

ასლა დაიწყეთ ტანის ზედა ნაწილის რწე-ვა წინ და უკან და, როგორც წინა ჯერ-ზე, თანდათანობით შეამცირეთ მოძრაობის არეალი. რაც უფრო შეუმჩნეველია თქვე-ნი მოძრაობა, მით უფრო გამახვილებული ხდება თქვენი შეგრძნება. შეიგრძნეთ რო-გორ უახლოვდებით წონასწორობის მდგო-მარეობას, როდესაც მას მიაღწევთ დატ-კობით ბალანსისა და სიმშვიდის სასიამოვნო გრძნობით.“

საერთო განხილვა

5) ემოციები

მიზანი: სავარჯიშო ითვალისწინებს ასოციაციურ აზროვნებას, აუმჯობესებს გონებრივ საქმიანობას და წარმოადგენს ჩვენი ტვინის სწავდასწავა ნაწილის „საუბრის“ შესაძლებლობას. ამ სავარჯიშოში არის იმიტაცია იმის, რითაც ჩვენი აზროვნება მუდმივად დაკავებული – კავშირის დამყარება ემოციებსა და კონცეფციებს, მიზნებსა და დაბრკოლებებს, წარსულსა და აწმყოს, დაწესებულებასა და კლიენტს შორის.

სავარჯიშო „რუქა“:

აღჭურვილობა: ფლიპ-ჩარტის ფურცელი, სწავდასწავა ფერის ფლომასტერები.

„თითოეული ჩვენგანი ფლობს უდიდეს და სწავდასწავაგვარი ემოციების სამყაროს. რა იცით მის შესახებ? რომელი ემოციების ცნობა, იდენტიფიცირება შეგიძლიათ თქვენში? მე გთავაზობთ ყოველ თქვენგანს დასატოთ „თქვენი სულის რუქა“ მსოფლიო რუქის მსგავსად. დასატოთ სად და რა ემოციები ცხოვრობენ, დაარქვით სახელი, იფიქრეთ რა დამოკიდებულებაში არიან ისინი ერთმანეთთან (20 წუთი). ახლა კი, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი სამყარო“.

საერთო განხილვა

დიდ ფორმატზე ჩამოწერეთ საერთო ემოციების სია

სინარული	დარდი	შიში	გალიზიანება
აღფრთოვანება	სევდა	საშინელება	ბოღმა
ნეტარება	მოწყენა	განგაში	მრისხანება
სიამოვნება	მწუსარება	პანიკა	გაშმაგება
გოცება	სასოწარკვეთა	ტკივილი	აღშფოთება
ინტერესი	სიმწარე	დაძაბულობა	პროტესტი
სიმშვიდე	სიცარიელე	დანაშაული	წყენა
სიწყნარე	უმწეობა	სირცხვილი	
სიყვარული	მარტოობა		
სინაზე	დაღლილობა		
სიბრაღული	სინანული		
	დაბნეულობა		
	იმედგაცრუება		

შემდეგ თითოეულ მონაწილეს შესთავაზეთ აღწეროს ემოციების ინდივიდუალური გამოვლენა შეგრძნების ტერმინებით.

მაგალითად:

სევდა: მსუბუქი ვიბრაცია სახესა და მხრებზე, მოდუნება მხრებსა და ხელებში, მზის სხივის მსგავსი სითბო, მსუბუქი წვა თვალის არეში.

სიმშვიდე: მწველი შეგრძნება კეფაში, პრესის არეში მოდუნება, სითბო თეძოების არეში...

ეცადეთ დაიცვათ მაქსიმალური სიზუსტე და აღნიშნეთ სუსტი შეგრძნებებიც კი. აღნიშნეთ თუკი შეგრძნება „გადაადგილდება“: ძალიან სშირად ჩნდება ერთ არეში, შემდეგ თითქოს „გადადის“ მეორე მხარეს, სადაც, როგორც წესი, ჩვენ ვაშჩნევთ.

.6) „ძალის წყარო“

ინტერვიუ: ჩვეულებრივ საიდან იღებთ ძალას? როგორ ივსებთ თქვენს ენერგიას?

„შეეცადეთ წარმოიდგინოთ ახლა ძალის რომელიმე წყარო, რომელსაც სედავს თქვენი წარმოსახვა“ (ყველაზე სშირად ეს არის წყალი). ისიამოვნეთ წყლით, შეიგრძენით ის სახეზე, პირში, მუცელში, სხეულის ყველა უჯრედში. შეიგრძნეთ როგორ ივსებით წყლის ენერგიით, მოჩუხჩუხე წყლის ენერგიით. დაყავით ცოტა ხანი ამ მდგომარეობაში. რისი გაკეთება გსურთ? გააკეთეთ ის. დაისვენეთ, იგრძენით მზის, წყლის ენერგია. შეიგრძენით როგორ ივსებით ენერგიით, დაეწაფეთ მას. უბრალოდ დაწექით, დატკბით. რისი გაკეთება გინდათ ახლა? გააკეთეთ ის. ისიამოვნეთ იმით რასაც აკეთებთ.

დაიმახსოვრეთ ეს მდგომარეობა და წაიღეთ ის თან“.

მხარდაჭერა კრიზისულ სიტუაციებში

შესავალი

ამ თემის მიზანია მონაწილეებამდე დაიყვანოს ის ფაქტი, რომ ძალადობის სფეროში საქმიანობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას მოყვავართ კრიზისულ სიტუაციასთან, რომელთან მუშაობაც მოითხოვს ძალიან დიდ გულისხმიერებას.

მუშაობის მთავარი მიზანი ამგვარ მდგომარეობებში არის დაზარალებული ქალისა და მისი ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მომენტის გათვალისწინებით მონაწილეებმა უნდა შეაფასონ საფრთხე, ისწავლონ კრიზისულ სიტუაციებში პრაქტიკული დახმარების გაწევა და იურიდიული ინფორმაციის მიწოდება.

კრიზისულ სიტუაციებში დახმარების გაწევისას არსებობს განსხვავებები სხვადასხვა ტიპის პროფესიონალთა შორის რეგიონალურ დონეზე. ამიტომ ეს თავი გვაძლევს ზოგად ინფორმაციას აღნიშნულ თემაზე. მოცემულ სასელმძღვანელოში შესაძლებელი არ არის დაზარალებულებთან მუშაობისთვის იურიდიული ბაზის განხილვა ეროვნულ კანონმდებლობათა განსხვავებულობის გამო, მაგრამ უადრესად მნიშვნელოვანია ამ თავის, ან შესაბამისი მოდელის დახმარებით პროფესიონალებისათვის დაწვრილებით შეგჩერდეთ დაზარალებულთა უფლებებზე. მოძალადის სასლადან გაშორების შესაძლებლობებსა და სამოქალაქო ან სისსლის სამართლის საქმის აღძვრაზე. თუ ცალკეული ქვეყნის კანონები ადექვატურად არ იცავენ ძალადობის მსხვერპლთ და მათ ბავშვებს, მაშინ უნდა გამოვძებნოთ შესაძლებლობა, რათა მივმართოთ სხვა ქვეყნის კანონმდებლობის ეფექტურ მოდელს.

ბულთა უფლებებზე. მოძალადის სასლადან გაშორების შესაძლებლობებსა და სამოქალაქო ან სისსლის სამართლის საქმის აღძვრაზე. თუ ცალკეული ქვეყნის კანონები ადექვატურად არ იცავენ ძალადობის მსხვერპლთ და მათ ბავშვებს, მაშინ უნდა გამოვძებნოთ შესაძლებლობა, რათა მივმართოთ სხვა ქვეყნის კანონმდებლობის ეფექტურ მოდელს.

მიზნები:

- კრიზისულ მდგომარეობაში მუშაობის ძირითადი საშუალებების განხილვა;
- მოძალადის მსრიდან საფრთხის შეფასების წესების საგულდაგულო შესწავლა;
- იურიდიული ინფორმაციის წარდგენა;
- დაზარალებულისა და მისი ბავშვების უსაფრთხოების ეფექტური უზრუნველყოფის შესწავლა.

სამარჯიშოები

სამარჯიშო 1: ეფექტური დახმარება კრიზისულ სიტუაციებში („ინტერვენცია“)

მიზანი: ინტერვენციის სხვადასხვა საშუალების შესწავლა; თეორიული შესაძლებლობების შედარება საქმის რეალურ მდგომარეობასთან.

მეთოდი: კონკრეტული მაგალითი ტრენერის სამუშაო გამოცდილებიდან: დასარიგებელი მასალა - „ინტერვენციის ოთხი ეფექტური საშუალება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირებისგან“.

დრო: 30 წუთი

ტრენერი წარმოადგენს რეალური ქალის ოჯახში ძალადობის ისტორიას, ისე, რომ არ ანსენებს გამოსავალს. პროფესიონალები მსჯელობენ ამგვარ სიტუაციაში დასმარების შესაძლებლობაზე. ამის შემდეგ ტრენერი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორი გამოსავალი იქნა მოძებნილი და ინტერვენციის რა საშუალებები იქნა გამოყენებული.

სამარჯშიშო 2: სიტუაციის საფრთხის ხარისხის შეფასება, რომელშიც იმყოფება დაზარალებული

მიზანი: განისაზღვროს ფაქტორები დაზარალებულის მდგომარეობის საფრთხის ხარისხის შესაფასებლად.

მეთოდი: „ტვინის შტურმი“, დისკუსია

აღჭურვილობა: ფლიპ-ჩარტი, ფლომასტერები, დასარიგებელი მასალა - „წინასწარი შეფასება და 26 შეკითხვა მოძალადის მხრიდან საფრთხის შესაფასებლად“.

დრო: 1 საათი

ტრენერი სთხოვს მონაწილეებს შეადგინონ კითხვები, რომლებსაც ისინი დაუსვამდნენ

დაზარალებულს საფრთხის ხარისხის შეფასებლად მოძალადის მხრიდან. ტრენერი იწერს დიდ ფორმატზე. შემდეგ მონაწილეებმა უნდა დაასახელონ ფაქტორები/მაჩვენებლები, რომელიც მოწმობს, რომ დაზარალებულისთვის საფრთხის ხარისხი მაღალია. ესეც იწერება ფლიპ-ჩარტის ფურცელზე.

ბოლოს, ტრენერი არიგებს მასალას - „წინასწარი შეფასება და 26 კითხვა მოძალადის მხრიდან საფრთხის ხარისხის შესაფასებლად“ და ჯგუფი მუშაობს ამ კითხვების პასუხებზე.

თუ დადებითი პასუხი გაუღერდა 13-ზე მეტჯერ, შეიძლება ითქვას, რომ საფრთხის ხარისხი მაღალია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სამარჯშიშო 3: უსაფრთხოების გეგმა.

მიზანი: უსაფრთხოების გეგმის შედგენა დაზარალებულისათვის

მეთოდი: ჯგუფებში მუშაობა, დისკუსია

აღჭურვილობა: ფლიპ-ჩარტი, ფლომასტერი, დასარიგებელი მასალა - „კითხვები დაზარალებულის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და სტრატეგიის გამოსავლენად“ და დასარიგებელი მასალა - „უსაფრთხოების გეგმა“.

დრო: 1 საათი (30 წუთი 2-3 ჯგუფად მუშაობისათვის)

ტრენერი სთხოვს მონაწილეებს განაწილდნენ პატარა ჯგუფებად შემდეგ საკითხებზე სამუშაოდ:

- როგორ ვაძგენ დაზარალებულის უსაფრთხოების გეგმას?
- რა კითხვებს დაუსვამ მას?
- როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს უსაფრთხოების გეგმა?

პატარ-პატარა ჯგუფების ანგარიში იწერება ფლიპ-ჩარტის ფურცელზე. ამის შემდეგ რიგდება მასალა – „კითხვები დაზარალებულის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და სტრატეგიის გამოსავლენად“, ან კეთდება დამატება ამ მასალაზე დაყრდნობით.

პითხვები უსაფრთხოების საჭიროებისა და უსაფრთხოების სტრატეგიის გაქმოსავლენად

- რა ზომებს იღებდით წინასწარ, რათა დაგეცვათ თავი და ბავშვები?
- გამოგადგათ თუ არა ეს?
- დაგექმარებათ თუ არა ანლა?
- როგორ ფიქრობთ, რა გექმარებათ ანლა უსაფრთხოებისათვის?
- როგორ შეიძლება დაგექმაროთ?
- კიდევ ვის შეუძლება თქვენი დაქმარება?
- კიდევ რა დაგექმარებათ? რა სახით?
- დაგექმარებათ თუ არა ამგვარი დაცვა, რათა აღარ შეეჭანოთ მოქალაქეს?

მას შემდეგ, რაც მომზადებულია ძირითადი კითხვები, მონაწილეები მსჯელობენ უსაფრთხოების გეგმის შემუშავების საშუალებებზე. შეძლებისდაგვარად გამოიყენება დასარიგებელი მასალა – „უსაფრთხოების გეგმა“. საჭიროა სიტუაციის განსწავვა, როდესაც ქალი წავიდა მოქალაქისგან, და როდესაც მოქალაქე იქნა გაშორებული სასლს.

კონსულტირების უნარ-ჩვევები

შესავალი

ეს ნაწილი ეძღვნება პრობლემას, რომელსაც პროფესიონალები ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალების კონსულტირებისას სვდებიან. ამგვარ შემთხვევებში დაზარალებულის მზობაზე, ისაუბროს თავის გამოცდილებაზე და მიიღოს დახმარება, გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი ცხოვრების გარე ფაქტორები.

მოცემული დაყოფა გამიზნულია პროფესიონალთა აქტიური და პოზიტიური ქმედებების წასახალისებლად.

უპირველესად, მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევისას არ არსებობს ერთადერთი ქეშმარიტი გადაწყვეტილება
- პროფესიონალები, მიუხედავად კომპეტენტურობისა თავის სფეროში, სრულყოფილი მანც არ არიან
- ყველა ქალს აქვს უსაფრთხო ცხოვრების უფლება
- საუბარი საკუთარი ცრურწმენის შესახებ შესაძლებელია გახდეს პირველი ნაბიჯი მის აღმოსაფხვრელად

მიზნები:

- განისაზღვროს ის დაბრკოლებები, რასთანაც პროფესიონალებს იძულებულნი არიან ჰქონდეთ საქმე დაზარალებულთან მუშაობისას
- შეირჩეს მიდგომები ამ დაბრკოლებების გადასაღასად
- განხილულ იქნას მხარდაჭერისა და ინფორმაციის სახეები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, რომელიც შეიძლება მათ წარუდგინოს პროფესიონალთა გარკვეულმა ჯგუფმა.

სამარჯიშოები

სამარჯიშო 1. პოზიციის შეცვლა

მიზნები: მდგომარეობის დაზარალებულის თვალთ დანახვის უნარის განვითარება

მეთოდი: როლური თამაში წყვილებში დამკვირვებელთან ერთად

ატჭურვილობა: ფლიპჩარტი, ფლომასტერი

დრო: 1,5 საათი (30 წთ – თითოეულ როლის შესრულებისთვის, 30 წთ – დისკუსიისთვის)

„სამეულში“ მუშაობა. ერთი მონაწილე თამაშობს პროფესიონალის როლს, მეორე

– დაზარალებულის. ქალი პირველი მიმართავს დახმარებისთვის, პროფესიონალი ისმენს მის ისტორიას. ამის შემდეგ ისინი ცვლიან როლებს.

კითხვები „დაზარალებულთან“:

- როგორ გრძნობდით თავს ამ როლში?
- ადვილი იყო თუ არა ამგვარ გამოცდილებაზე საუბარი?
- რა დაგესმარათ, ან პირიქით, რამ შეგიშალათ ხელი?
- რას ისურვებდით?

კითხვები „პროფესიონალთან“:

- როგორ გრძნობდით თავს ამ როლში?
- რთული იყო თუ არა ამ ქალის ისტორიის მოსმენა?
- რა დასკვნები გააკეთეთ ამ ისტორიასთან დაკავშირებით?
- ამის შემდეგ საჭიროა საუბრის შედეგების განხილვა, დამკვირვებლები თავიანთ დასკვნებს უზიარებენ ერთმანეთს.

სამარჯიშო 2. პროფესიონალური გამოცდილების განხილვა

მიზნები: ძალადობის ნიშნების ფორმულირება მონაწილეთა პროფესიონალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით

მეთოდი: რეფლექსია წყვილებში/დისკუსია

აღჭურვილობა: ფლიპ-ჩარტი, ფლომასტერი

დრო: 1 საათი (30 წუთი – წყვილებში სამუშაოდ, 30 წუთი – დისკუსიისთვის)

თითოეული მონაწილე ირჩევს პარტნიორს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან თავისი გამოცდილების შესახებ სასაუბროდ. მონაწილეები წყვილებში საუბრობენ თავიანთ გრძნობებზე, ასევე, ძალადობის იმ სიგნალების შესახებ, რომლისთვისაც მათ შეიძლება ადრე ყურადღება არ მიექციათ.

სამარჯიშო 3. ცარიელი სკამი

მიზნები: გულლიად გამოსატო შენი პირადი აზრი; ისაუბრო დაზარალებულისა და პროფესიონალის გრძნობებზე

მეთოდი: როლური თამაში, დისკუსია

აღჭურვილობა: სკამი

დრო: 45 წუთი (15 წუთი – თითოეულ როლზე, 15 წუთი – დისკუსიისთვის)

დადგით ოთახის შუაგულში ცარიელი სკამი.

პროფესიონალი საუბრობს დაზარალებულთან (=ცარიელი სკამი) თავის ემოციებზე ან პროფესიონალი თამაშობს დაზარალებულის როლს და საუბრობს პროფესიონალთან (=ცარიელი სკამი).

სამარჯიშო 4. სატელეფონო ზარი ან ოჯახში ძალადობის დაზარალებულის მონახულება

მიზნები: განისაზღვროს პირობები, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანმა ისაუბროს ტრამპულ გამოცდილებაზე.

მეთოდი: როლური თამაში დამკვირვებელთან წყვილში, დისკუსია

დრო: 1 საათი (თითოეულ როლის შესრულებაზე 30 წუთი)

მონაწილეები გაითამაშებენ სატელეფონო წარის ან დაწარალებულის მონახულების სცენას. საუბრის დასაწყისში ქალი თავს გრძნობს ძალზე არადამაჯერებლად; პროფესიონალი ცდილობს წახალისოს ის სასაუბროდ. მონაწილე, რომელიც თამაშობს დაწარალებულის როლს, ჩერდება იმ მომენტში, როდესაც საუბრის გასაგრძელებლად თავს გრძნობს საკმაოდ თვითდაჯერებულად.

ამის შემდეგ საჭიროა მსჯელობა შემდეგ საკითხებზე დაწარალებულის მისამართით:

- როგორ ვგრძნობდი თავს?
- რა დამენმარა მესაუბრა ჩემს გამოცდილებაზე?
- რომელი კითხვები დამენმარა და რომელი იყო არც ისე მნიშვნელოვანი?

სამარჯიშო 5. სექსუალურ ტერმინთა ლექსიკა და ემოციური ასოციაციები

მიზნები: სექსუალურ ტერმინთა ლექსიკის შედგენა და საკუთარი ემოციებისა და ასოციაციების გამოკვლევა.

მეთოდი: „ტვინის შტურმი“ მომდევნო დისკუსიისთვის

აღჭურვილობა: ფლიპ-ჩარტი, ფლომასტერები

დრო: 45 წუთი

„ტვინის შტურმის“ ჩატარება სექსუალურ ტერმინებზე და მათი განსაზღვრა იმგვარ კატეგორიებად, როგორცაა: „სამედიცინო ტერმინები“, „საბავშვო ენა“, „სასაცილო სიტყვები“, „შეურაცხმყოფელი სიტყვები“.

როგორ გრძნობდით თავს როდესაც ისმენდით ამ სიტყვებს? რომელი სიტყვები მოგწონთ/არ მოგწონთ?

სამარჯიშო 6. ინფორმაციის ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება

მიზანი: კორექტული კითხვების დასმის სწავლა (გაგება, როდის და როგორ უნდა გაკეთდეს ეს)

მეთოდი: კონკრეტული მაგალითის განხილვა ტრენერის სამუშაო გამოცდილებიდან.

დრო: 45 წუთი

ტრენერი წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითს თავისი გამოცდილებიდან, გარკვეული დროის შემდგომ ჩერდება და ნაბიჯ-ნაბიჯ სთავაზობს ინფორმაციას:

ნაბიჯი 1. მონაწილეებმა უნდა დასვან კითხვები, რათა მიიღონ მეტი ინფორმაცია:

ნაბიჯი 2. ტრენერი ყვება მეტ ინფორმაციას შემთხვევის შესახებ;

ნაბიჯი 3. მონაწილეები იკვლევენ ამ შემთხვევის მთავარ პრობლემას;

ნაბიჯი 4. მონაწილეები ცდილობენ დასმარება გაუწიონ დაზარალებულს, ან მსჯელობენ მხარდაჭერის შესაძლო საშუალებებზე.

საპარჯიშო 7. „მე – ოჯახში ძალადობის მსხვერპლი...“

მიზანი: მონაწილეებისთვის დასმარება, რათა შევიდნენ დაზარალებულის მდგომარეობაში და შეაფასონ მისი მდგომარეობის სიმძიმე.

მეთოდი: საპარჯიშო სრულდება ინდივიდუალურად მთელი ჯგუფის წინაშე

დრო: 20 წუთი

მონაწილეები პირველ პირში, სმამაღლა კითხულობენ ქალის ისტორიას („მე განვიცადე ძალადობა...“, „მე ვგრძნობდი...“). ამის შემდეგ ისინი საუბრობენ თავიანთ განცდილ გრძნობებზე.

შენიშვნა ტრენერისათვის:

აირჩიეთ რეალური ისტორია თქვენი პროფესიონალური პრაქტიკიდან.

დამატებითი მეთოდები: იმ ქალების მდგომარეობის ამსახველი ვიდეომასალა, რომლებმაც დასასმარებლად მიმართეს და სიძნელები, რომელიც წარმოიშვა პროფესიონალთან მიმართვისას.

დახმარების სამსახური

შესავალი

ძალზე იშვიათია კომპეტენტური და ყოველმხრივი დახმარების გაწევა შეძლოს რომელიმე სამსახურის/ორგანიზაციის ერთმა წარმომადგენელმა. მაშინაც კი, თუ ეს მაღალკვალიფიციური ორგანიზაციაა, სამსახურეობრივი მოვალეობების ჩარჩო და ყოველდღიური მუშაობის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს ქალს გაუწიოთ ყოველმხრივი დახმარება. ნებისმიერ შემთხვევაში არაგონივრული იქნება თუკი რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი გამოვა თავისი კომპეტენციის ჩარჩოდან და შეეცდება ერთდროულად შეასრულოს მოსამართლის, იურისტის, სოცმუშაკის სამუშაო. თითოეული ამ პროფესიის წარმომადგენელს აქვს თავისი შესაძლებლობები ძალადობის მსხვერპლის დახმარებად და მნიშვნელოვანია, რომ ისინი ამით დაკავებულნი იყვნენ თავიანთ ადგილზე. მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომლობა სხვა სამსახურებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ასევე ეხმარებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს.

მოცემული თავი წარმოადგენს დახმარების სპეციალიზირებული სამსახურებისა და მათი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების მიმოხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციას თავშესაფრების

შესახებ ქალებისათვის და რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომლებიც მხარდაჭერას უწევენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია, რომ ქალებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ სწრაფი შესაბამისი მომსახურება. გარდა ამისა, ამ თავში დიდი ყურადღება ექცევა ამგვარი ორგანიზაციების მუშაობის შემდეგ პრინციპებს: დაწარალებული ქალი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არცერთი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული თანამშრომლების მხრიდან მასთან წინასწარი განხილვის გარეშე.

მიზნები:

- თავშესაფრების მუშაობის პრინციპის გაგება
- ინფორმაციის მიღება იმ ორგანიზაციების შესახებ, სადაც შესაძლებელია ქალის და ბავშვების გაგზავნა
- შესაბამის შეზღუდვების შესახებ ინფორმირება
- თავშესაფართან დაკავშირებული წინასწარი ცუდი დამოკიდებულების შესახებ ინფორმირება
- დისციპლინათშორის თანამშრომლობისათვის მონაწილეთა წახალისება

სამარჯიშოები

სამარჯიშო 1.

პროფესიონალებმა უნდა შეისწავლონ დასმარების რა საშუალებებია ხელმისაწვდომი ძალადობის მსხვერპლისთვის მათ რეგიონში და რა სამსახურები არ არის ჯერ-ჯერობით. სთხოვეთ პროფესიონალებს ჩაატარონ ინტერვიუ მათთან, ვისაც აქვს დასმარების გაწევის განსხვავებული გამოცდილება ძალადობის მსხვერპლისთვის.

შენიშვნა ტრენერისათვის

რამდენიმე ქვეყანასა და რეგიონში არ არსებობს დასმარების სამსახური ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის. ტრენინგის მსვლელობისას თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ პროფესიონალებს იფიქრონ ამ თემაზე: როგორ შექმნან ახალი სამსახური და როგორ აღმოუჩინონ დასმარება საკუთარი ძალებით.

სამარჯიშო 2.

ტრენერის პრეზენტაცია: რეგიონალური კრიზისული ცენტრები ქალებისთვის (დასმარების სამსახური)

მიზნები: აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა: წახალისება თანამშრომლობასა და ქსელების შექმნაზე

მეთოდი: პრეზენტაცია/დისკუსია

აღჭურვილობა: დასარიგებელი მასალა „კრიზისული ცენტრების სია“

დრო: 30 წუთი

ტრენერი არიგებს კრიზისული ცენტრების შესახებ საინფორმაციო მასალებს. მონაწილეები სვამენ კითხვებს და განიხილავენ თანამშრომლობის პრობლემებს.

დამატებითი მეთოდები

მონაწილეებისთვის თავშესაფარის შენობის ჩვენება (ან ფოტოსურათი/ვიდეოჩანაწერი):

შესვედრის ორგანიზება დისციპლინათშორის თანამშრომლობისათვის.

ფსიქოლოგიისა და სოცმუშაკების მომზადება

პრაქტიკული მომზადება

შესავალი

პროფესიონალ ფსიქოლოგებსა და სოცმუშაკებს მიეკუთვნებიან სოცმუშაკები, ფსიქოლოგები, სოციალურ და პირად პრობლემათა კონსულტანტები, კონსულტანტები ოჯახურ პრობლემებზე და ფსიქოთერაპევტები.

რიგი მიზეზების გამო ფსიქოლოგიურ და სოციალური დახმარების მრავალ სფეროში მეტი წილი პაციენტი და პერსონალი ქალია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქალები, როგორც სოციალურად მოწყვლადი ჯგუფი ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან (კერძოდ, ქალს უფრო მეტად ემუქრება სიღარიბე), მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალიზაციის შედეგად ქალები უფრო ხშირად იგებენ, რომ საჭიროებენ დახმარებას და მხარდაჭერას.

სოციალური სამუშაოს სფეროში ჩატარებული კვლევები გვაზარაუდებინებს, რომ ქალების სოციალიზაცია განსაკუთრებით კარგად ამზადებს მათ დახმარების გასაწევად (და მთლიანად პიროვნებათშორის ურ-

თიერთობებში), და ამით აისწნება მათ მიერ ამგვარი პროფესიების არჩევის ტენდენცია.

შეიძლება ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის ფესვები საძებარი მაშაქაცებში, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიური დახმარებისთვის სოციალურ დაწესებულებებს, როგორც წესი, მიმართავენ ქალები. იმის გათვალისწინებით, რომ ქალები ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლი, დიდია ალბათობა, რომ პროფესიონალ ფსიქოლოგსა და სოციალურ მუშაკს მოუწევს ძალადობის გამოვლინებასთან შეჯახება.

სქესის ნიშნით ძალადობის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს ქალსა და მაშაქაცს შორის ძალთა არათანაბარ გადანაწილებაში. ამიტომ პროფესიონალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესის ნიშნით ძალთა გადანაწილების თავისებურებების ცოდნა. ნაწილი კვლევებისა აჩვენებს, რომ, სოციალური სამუშაოს სფეროში მაინც, სოცმუშაკის ჩარევა ძალიან ხშირად სქესობრივი როლების ტრადიციულ გამყარებად მიდის (კერძოდ, ქალებს ძირითადად ეკისრებათ ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებლობა).

ამიტომ პროფესიონალმა სოცმუშაკებმა უნდა გაანალიზონ და გადახედონ თავის

შესდგენილებებს სქესთა შორის როლების ტრადიციულ გადანაწილებაზე, რომელიც მრავალი სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემის საფუძველია და რომელსაც ეჯახება როგორც ქალი, ისე მამაკაცი. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას მოცემულმა პროფესიონალურმა ჯგუფმა ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ამოცანები

- მიიღო ინფორმაცია და შექმნა პირობები ქალის უსაფრთხოებისა და ნდობის უზრუნველსაყოფად, რომელსაც სამსახურში სასტიკად ეპყრობიან;
- ანლებურად გაიანორო სამსახური და სამუშაო ადგილი – მონაწილეებს უამბო ამბივალენტური ემოციების შესახებ;
- გაათავსო თანამშრომლობა სხვა პროფესიონალ ჯგუფებთან და დაწესებულებებთან.

განხილული თემები

თემა 1. ძირითადი ცნობები ძალადობის შესახებ ქალებთან მიმართებაში

თემა 2. მიგრანტთა მდგომარეობა, რომლებიც იძულებულნი არიან იცხოვრონ ძალადობრივ სიტუაციაში

თემა 3. იურიდიული ინფორმაცია

თემა 4. თანამშრომლობა

თემა 5. მოცემული პროფესიონალური ჯგუფის შესაძლებლობები და შესწორებები

ტრენერი ირჩევს თემას, რომელსაც ის განიხილავს სპეციალური მოდულით დროის რაოდენობიდან გამომდინარე.

თემა 6. ძირითადი ცოდნა ძალადობის შესახებ ქალებთან მიმართებაში

შესავალი

მრავალ ქვეყანაში ითვლება, რომ პროფესიონალმა სოცმუშაკებმა უფრო მეტი იციან ქალებთან და ბავშვებთან მიმართებაში სასტიკი მოპყრობის შესახებ, ვიდრე სხვა პროფესიულმა ჯგუფებმა. იმ შემთხვევაში, თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება, შეიძლება ძირითადი ცოდნის გაღრმავება და მონაწილეებთან მათი პროფესიული გამოცდილების განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრენერი უნდა შეჩერდეს ძირითად მოდულზე, რომელიც შეიცავს დაწვრილებით საწყის ინფორმაციას და აღწერს მისი გადაცემის მეთოდებს.

1. ფიზიკური ძალადობის ფორმები და სახეობები

ამოცანა მდგომარეობს ფიზიკური ძალადობის სახეობების გაგებასა და მის ფსიქოლოგიურ შედეგებში. მონაწილეებმა უნდა გაიგონ, რომ ძალადობა შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ფიზიკური ხასის და ის სწორად ძლიერდება ფსიქოლოგიური ძა-

ლადობის სწავდასწავა ფორმებით, რომელიც მიმართულია მამაკაცის ქალზე „ძალაუფლების“ შესანარჩუნებლად.

ფიზიკური ძალადობა სორციელდება იმისათვის, რომ ქალი დასუსტდეს და დაკარგოს საკუთარი თავის პატივისცემა, ამას კი მიყავს წინააღმდეგობის შესუსტებასა და საბოლოო დაუძლურებად.

სამარჯიშო: ამოსავალი სავარჯიშო

მოკლე შინაარსი: ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის პრობლემის ჯგუფური გადაწყვეტა

ამოცანები:

- ისწავლო დაზარალებულის გრძნობების გაგება
- განიხილო ძალადობის სახეობები და მოძალადის სტრატეგია
- გაიფართოვო შენი თვალსაწიერი

მეთოდოლოგია: პრობლემის ჯგუფური გადაწყვეტა, განხილვა

ხანგრძლივობა: სწავდასწავა

ტრენერი ფლიპ-ჩარტს ყოფს ოთხ სვეტად, რათა განისაზღვროს ქალის მიმართ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებული პირობები:

სვეტი 1: პირობები, რომელიც უკავშირდება დაზარალებულს (ნაღველი, იმედგაცრუება, შიში...);

სვეტი 2. პირობები, რომელიც უკავშირდება მოძალადეს (აგრესიულობა...);

სვეტი 3. საქმროებებთან/რესურსებთან დაკავშირებული პირობები (უსაფრთხოება, მეგობრები, ბავშვის მოვლა, საცხოვრებელი პირობები, იურიდიული დახმარება, თავშესაფარი დაზარალებულისთვის);

სვეტი 4. პირობები, რომელიც დაკავშირებულია სწავა სფეროებთან / საზოგადოებასთან (კონტექსტი): დანაშაული, ადამიანის უფლებების შელახვა, საზოგადოების ცნობიერება, აღზრდა, კანონმდებლობა, მედიაცია.

შემდგომ მონაწილეები განიხილავენ ამ პირობებს. ტრენერმა უნდა მიუთითოს იმ სტერეოტიპებზე, რომელიც სწორად მოქმედებს დაზარალებულთან და მოძალადესთან დაკავშირებით. დაზარალებულთან დაკავშირებული პირობები მიუთითებს პასიურობასა და უსასობის გრძნობაზე. მოძალადესთან დაკავშირებული პირობები ასოცირდება აქტიურ როლთან.

შენიშვნა ტრენერისათვის

ის. ასევე ძირითადი მოდელი. სავარჯიშო 2 „ძალადობის სახეობათა გაგება“. ამ სავარჯიშოს გამოყენება შეიძლება მონაწილეებისთვის ფსიქოლოგიური ძალადობის მაგალითების მოყვანის თხოვნისას.

2. დაზარალებულის მდგომარეობა

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალმა სოცმუშაკებმა გააცნობიერონ ძალადობის მსხვერპლი ქალები რატომ რჩებიან მოძალადესთან და რა შედეგები მოაქვს ძალადობას ქალების ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობისთვის.

ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორ თემას, რომელიც განისილება სსვა „სპეციალურ მოდელეებში... სტოქჰოლმის სინდრომის განმარტება და მაგალითები შესულია სპეციალურ მოდელეში „სამართალდამცავი სისტემის მუშაკთა მომზადება“. ტრამეებისა და თერაპიისგანმარტება და მაგალითები შესულია სპეციალურ მოდელეში „მედიცინის მუშაკთა მომზადება“.

სამარჯიშო: უფლების მინიჭება

მოკლე შინაარსი: სავარჯიშო სრულდება მონაღისეების ან მცირე ჯგუფების მიერ და მისი ამოცანაა უკეთესად იქნას გაგებული ძალადობის მსხვერპლისთვის მიყენებული ფსიქოლოგიური ზარალი.

ამოცანები:

- ილუსტრირება, თუ როგორ ანგრევს ქალის პიროვნებას ძალადობა
- მსჯელობა და პასუხების მოძებნა ტიპურ კითხვებზე, კერძოდ: „ქალები რატომ უთმობენ ძალადობას? რატომ არ ცავენ ქალები თავს?..“

პროფესიონალს ყოველთვის ესმის რა მნიშვნელოვანია ის მიზეზები, თუ რატომ იქცევა პაციენტი ასე და მის ადგილას საკუთარი თავის წამოდგენა. ზოგჯერ პროფესიონალებს ჰგონიათ, რომ იციან როგორ გადაწყვიტონ პრობლემა იქამდე, სანამ მოუსმენენ ამ ქალებს.

მეთოდია: მუშაობა ჯგუფებში ან მონაღისედ

სასწავლო სახელმძღვანელო: ქაღალდის სუფთა ფურცლები (ბარათები), კალმები

სანგრძლივობა: 30-45 წუთი

გამოარკვეით არიან თუ არა მონაღისეები. დაურიგეთ მათ სუთი ბარათი და სთხოვეთ დაწერონ სუთი თვისება, რომელიც მათ ყველაზე უფრო მეტად მოსწონთ საკუთარ თავში. შემდეგ სთხოვეთ აირჩიონ და ერთი მათგანი გადმოგცენ. გამოართვით კიდევ ორი ბარათი. ამის შემდგომ თქვენ შეგიძლიათ მოელაპარაკოთ იმაზე, თუ რას გადმოგცემენ, თუკი თქვენ დაუბრუნებთ ერთ „ბარათს... ჰკითხეთ, ამასთანავე რას განიცდიან და როგორ შეესაბამება ეს ძალადობის დინამიკას.

შენიშვნა ტრენერისათვის:

თუ ჯგუფი ძალიან პატარაა, მაშინ რიგდება ბარათები და სავარჯიშოში მონაწილეობს ჯგუფის ყველა წევრი; დიდ ჯგუფში თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე მონაღისე. არ აიძულეთ მონაწილეობა მათ, ვისაც ეს არ სურს. არ დაუშვათ, რომ სსვა

მონაწილეებმა დაინახონ რა წერია ბარათებზე. სავარჯიშოს შერულების შემდეგ დასიეთ და გადაყარეთ ბარათები.

თუ ჩვენ ძალადობის დამნაშავეთა სტრატეგიას დავიჭერთ, მაშინ შევძლებთ დავიკავოთ განსაზღვრული ადგილი სასტიკ მოპყრობასთან მიმართებაში, განვინილოთ ის როგორც დანაშაული და ვიმოქმედოთ ქალთა უფლებების დასაცავად.

3. კრიზისული მხარდაჭერა

მოცემულ შემთხვევაში საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს საუბარი განსხვავებულ სამუშაო სიტუაციებზე. ეს ნაწილი ეძღვნება იმის პრაქტიკულ და თეორიულ შეფასებას, თუ რა მიაჩნიათ პაციენტებს მხარდაჭერად, რაც ხელს უწყობს ნდობას. ამასთანავე, უნდა გვანსოვდეს, როგორია კომპეტენტურობის დონე. მუშაობის პრაქტიკული მოცულობა შესაბამისი პროფესიონალური ჯგუფებისა და დაწესებულების, და როგორია მათი საზღვრები.

რეკომენდირებულია როლური თამაშების ადაპტირება კონკრეტულ სიტუაციებთან, რომლებშიც მონაწილეებს უწევთ მუშაობა. ამასთანავე შეუძლიათ კრიზისული კონსულტაციის, სახლში ფსიქოლოგიური კონსულტაციის, ტელეფონით კონსულტაციის ან დაფარული ძალადობის სიტუაციის მოდელირება.

სამარჯიშო: ძალადობის ფორმების აღწერა

მოკლე შინაარსი: იმ საკითხის განხილვა, თუ რა ძნელია ზედმიწევნით აღწერო სხვადასხვა ძალადობის გამოვლინება.

ამოცანები: ქალისთვის ძალზე მძიმეა საუბარი იმ ძალადობის, სასტიკი მოპყრობისა და დამცირების შესახებ, რომელშიც ის იმყოფებოდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ სთხოვენ ზედმიწევნით აღწეროს მოვლენა. მოცემული სავარჯიშოს ამოცანაა – შეძლო გაიგო, რამდენად ძნელია ამგვარი აღწერა.

მეთოდია: ჯგუფებში მუშაობა, განხილვა

სასწავლო სახელმძღვანელო: ფლიპ-ჩარტი, საწერკალამი

ხანგრძლივობა: 45 წუთი

მოამზადეთ ქალადის ფურცლები, რომელზეც მითითებულია ძალადობის სხვადასხვა ფორმები. მოახდინეთ მცირე ჯგუფების ფორმულირება და სთხოვეთ მათ ყურადღების მიპყრობა ქმედებაზე, რომელიც შეესაბამება შეთავაზებულ თემას. 20 წუთის შემდეგ მათ უნდა შეატყობინონ ჯგუფს საკუთარი მოსაზრების შესახებ დაფაზე შედეგების დაწერით. შემდგომ მონაწილეებმა უნდა ახსნან რას ნიშნავს თითოეული სიტყვა.

სამარჯიშო: შრომის პირობების განხილვა:

მოკლე შინაარსი: სამუშაო პროცესისა და შრომის პირობების განხილვა

ამოცანები:

- საკუთარი შრომის პირობების განხილვა
- იმ მეთოდებისა და შეცდომების შეცნობის შესწავლა, რომელსაც ადგილი აქვს მუშაობისას ქალებთან სასტიკად მოპყრობის შემთხვევებში.

მეთოდია: განხილვა მცირე ჯგუფებში

სასწავლო სახელმძღვანელო: ფლიპ-ჩარტის 4 ფურცელი, ფლომასტერი

მცირე ჯგუფები განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

- როგორ უდგებიან პროფესიონალები დაზარალებულს?
- როგორი რეაქციაა სწორი/არასწორი?

განიხილეთ დროისა და ადგილის შერჩევა. სწორად გონივრულია საუბრის გადატანა, თუ თქვენ არასაკმარისი დრო გაქვთ, ან ადგილი, სადაც სართ, არ გაძლევთ უფლებას უზრუნველყოთ კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. გახსოვდეთ იმ რისკის შესახებ, რომელსაც სვდება ქალი (მოძალადეს შეუძლია უთვალთვალოს მას თქვენთან შესვედრის ადგილამდე)

შენიშვნა ტრენერისათვის:

მონაწილეებმა უნდა განიხილონ არა შეცდომები, არამედ მუშაობის წოგადი ნასიათი (ან სხვა პროფესიონალური ჯგუფების

მუშაობა, რომლებთანაც ისინი თანამშრომლობენ).

სამარჯშო: მოძალადის სტრატეგია

ამ შემთხვევაში ასევე რეკომენდირებულია წინასწარ მომზადებული მაგალითები და როლური თამაშები მოძალადესთან შეჯახების მოდელირებისათვის, რათა ასწავლო მონაწილეებს კონსულტირებისას გაერკვნენ მოძალადის სტრატეგიაში. როლური თამაშები უნდა შეიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა „კონსულტაციები ერთად მცხოვრებ პირთათვის... „სახლში სტუმრობისას შესვედრა მოძალადესთან.. და „ინდივიდუალური საუბარი ძალადობისკენ მიდრეკილ მამაკაცებთან“. მონაწილეებისგან მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად პროფესიული მუშაობისთვის მნიშვნელოვანია შემდგომი მსჯელობა.

თემა ბ. მოძალადეებთან მცხოვრებ მიგრანტთა მდგომარეობა

შესავალი

სოციალურად დაუცველი და დისკრიმინირებული საზოგადოებრივი ჯგუფები განსაკუთრებით სწორად ფრთხილიან. მნიშვნელოვანია იმის გაგება და გაცნობიერება, რამდენად რთულია აიძულო საკუთარი თავი და ისაუბრო სხვა კულტურისა და ენის გარემოცვაში, განსაკუთრებით თუ საუბარი ენება პირად პრობლემებს.

გარდა ამისა, უნდა განიხილო ცსოვრების შედეგები სხვა ქვეყანის უცნობი კანონებითა და ჩვეულებებით.

რეკომენდირებულია მომზადდეს დასარიგებელი მასალა მონაწილეებისთვის მიგრანტთა უფლებებისა და იურიდიული სტატუსის მსგავსი აღწერით, ან მიეცეთ მათი განმარტება. თქვენ უნდა განიხილოთ ისეთი თემები, როგორცაა ძალადობისგან დაცვა, იურიდიული დაცვის სელმისაწვდომობა, საკანონმდებლო ნორმები უცხოელ მოქალაქეებზე და ქორწინება უცხოელ მოქალაქეებთან, სამუშაო უფლება, კანონითა ვაშუსაფრის მიცემაზე, სოციალური უზრუნველყოფის უფლება და ა.შ.

კონკრეტული სიტუაციის ანალიზი

პასუხები ზოგიერთ კითხვაზე განსაკუთრებულ/დამატებით ბარიერებზე, რომელსაც ქალები აწყდებიან (დისკრიმინაცია რასობრივი და ეთნიკური ნიშნით, სარწმუნოების, სექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უმოქმედობა, სოციალური წარმოშობა და ა.შ.)

თემა 8. იურიდიული ინფორმაცია

ეს ნაწილი შეიცავს ძალადობისგან დაცვის იურიდიული ზომების, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების მხარდაჭერის სხვა ფორმების შესახებ ძირითად ცოდნას.

რომელი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები იცავს დაზარალებულს?

- როგორია ჩემი უფლებები და მოვალეობები, როგორც აღნიშნული პროფესიონალური ჯგუფის წარმომადგენლის?
- როგორია მოვალეობა სხვა პროფესიონალური ჯგუფების, რომელთანაც მე ვთანამშრომლობ (პოლიცია, მედიცინის მუშაკებთან სავალდებულო მიმართვა და ა.შ.)
- ამ მეცადინეობაზე რეკომენდირებულია პროფესიონალი იურისტის მოწვევა, რომელიც შეძლებს არა მხოლოდ დაზარალებულის უფლებებზე, არამედ შესაბამის პროფესიონალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ სამართლებრივ სიტუაციაზეც საუბარს.

სამარჯშომო: კონსულტაცია

მოკლე შინაარსი: მოდელირებული კონსულტაცია

ამოცანები:

- კონსულტაციების ჩვევების განხილვა და გამომუშავება
- გარემოებებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების განხილვა კონსულტაციების ადგილზე.

მეთოდია: როლური თამაში: 1 კონსულტაციის მსურველი პირი, 1 კონსულტანტი, მინიმუმ 1 დამკვირვებელი, შემდგომი განხილვა.

პუნქტიში/საკონსულტაციო ცენტრში მოდის ქალი და ამბობს, რომ ის ძალადობის მსხვერპლია. სოცმუშაკები ან ფსიქოლოგები კონსულტაციას უწევენ მას.

კითხვები კონსულტაციის მსურველისთვის:

- რას განვიცდიდი? საკმარისად ვენდობოდი თუ არა სპეციალისტებს, რათა მომეთხრო მათთვის თუ რა გადამხდა?
- რა იყო კარგი და რა ცუდი?
- კიდევ რა მესაჭიროებოდა?

მცირე ჯგუფი ადგენს საჭიროებების ნუსხას, შეგრძნებები და მოლოდინები ნაცვ-ში ქალის, რომელმაც მიმართა დასახმარებლად. შემდეგ მოუთხრობს დიდ ჯგუფს იმის შესახებ, როგორ შეუძლია კონსულტანტს ჩაუნერგოს უსაფრთხოების გრძნობა და თვითდაჯერება. შემდგომი მსჯელობის დროს ტრენერმა საწი უნდა გაუსვას უსაფრთხოების გეგმის აუცილებლობას.

შენიშვნა ტრენერისათვის:

როლური თამაშების ჩატარება უფრო ადვილია სტუდენტებთან; სწორად პროფესიონალები უსაღისოდ დემონსტრირებენ კონსულტირების უნარს. გარდა ამისა, როლური თამაშის ჩატარება უფრო ადვილია მცირე ჯგუფებში, რომლებიც ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ. თუ ტრენერს უნდა მონაწილეები დაარწმუნოს როლური თამა-

შის აუცილებლობაში, მაშინ, პირველ რიგში, ის თვითონ მას უნდა მოსწონდეს! ამავე დროს როლური თამაში ძალიან კარგად ემხარება კონსულტაციის მსურველი პირის გრძნობის გაგებას.

საჭიროა:

- მოყოლისას, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე როლურმა თამაშმა და რა როლი შეასრულეთ თქვენ მასში, ისაუბროთ მესამე პირის სახელით.
- როლური თამაშის დროს დააკვირდეთ თქვენს შეგრძნებებს
- როლური თამაშის შემდგომ თქვენი შთაბეჭდილება და მიღებული გამოცდილება აუცილებელია განისილოთ დიდ ჯგუფში

ვარიანტი:

როლური თამაში: 4 როლი და 1 დამკვირვებელი; სოცმუშაკი, პატრული, ექიმი და ა.შ. ტარდება კონფერენციის ფორმით: „როგორ იბრძვით ძალადობის წინააღმდეგ ქალებთან მიმართებაში?..“

ინტერვენცია (ჩარევა/რეაბილიტაცია)

პრევენტივის თემები:

- ეფექტური რეაგირების მიზნები ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე
- ინტერვენცია: საკვანძო ელემენტების მიმოხილვა
- ნაბიჯები შემდგომ დაკვირვებაზე

შესავალი

რეალურად როგორ დაეხმარებიან მედიცინის მუშაკები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს? ნუთუ შესაძლებელია დახმარება იმ მცირე ჯგუფში, რომელიც შენ შეგიძლია დაუთმო პაციენტს? აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია. მთავარია იცოდეთ როგორ და ეფექტურად შეძლო ამ დახმარების გაწევა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის მხარდაჭერა მსოფლიო დისციპლინათშორისი მიდგომის გამოყენებით შეიძლება იყოს ეფექტური. ამ შემთხვევაში თვითონ ქალი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, მედიცინის რომელ მუშაკს ესაუბროს თავის მდგომარეობაზე. ასევე ქალი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, როდის გააკეთოს ეს. სწორედ ქალია პასუხისმგებელი ინტერვენციის პროცესზე და ამასთანავე სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები პატივისცემით ეპყრობიან მის გადაწყვეტილებას.

ინტერვენციის საბოლოო შედეგი აუცილებელია განდეს ძალადობის სიტუაციიდან სასწრაფო გამოსვლა. აუცილებელია ინტერვენციის ახალი პროფილაქტიკური სახეობები, რომელიც გულისხმობს კონტროლისა და ძალადობრივი ქცევის შეცვლას არაძალადობრივი ქცევითა და მხარდაჭერით. ლიტერატურაში, რომელიც არსებობს ოჯახში ძალადობის შესახებ, შეიძლება სწორედ შეხვდეთ იმის მტკიცებას, რომ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი წასვლაა. ამასვე ამტკიცებენ ზოგიერთი იურისტებიც. აღნიშნული კვლევა ამტკიცებს, რომ ნაცემ ქალთა უმრავლესობა ბოლოსდაბოლოს თავს ანებებს იმ ურთიერთობებს, რომელშიც ისინი ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. თუმცა წასვლა, – ეს არის პროცესი და სწორედ ქალები უბრუნდებიან თავიანთ მოძალადეს რამდენჯერმე. ეს ნორმალური, ამ პროცესისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და სწორედ ასე უნდა აღვიქვათ.

რისი გაკეთება შეუძლია მედიცინის მუშაკს? უპირველესად, თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ქალს და შეამციროთ მისი იზოლირებულობის გრძნობა, – ეს სომ ყველაზე მთავარი შეგრძნებაა, რომელსაც ის განიცდის. თქვენ ასევე შეგიძლიათ მისი ცხოვრება გახადოთ უფრო უსაფრთხო (შეიმუშაოთ უსაფრთხოების გეგმა). თქვენ შეგიძლიათ

გამონათვით წუხილი, თანაგრძნობა და პატივისცემა, ასევე მისცეთ შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს როგორ მოიქცეს, როგორი დახმარებით ისარგებლოს და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, როგორ შეცვალოს თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ.

ინტერვენცია სთავაზობს ქალს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, პირადი მხარდაჭერის სისტემის განსაზღვრში დახმარებას და ძალადობის გაძლიერების შემთხვევაში უსაფრთხოების გეგმას. გარდა ამისა, აუცილებელია ქალს მიაწოდო სრული ინფორმაცია კრინისულ ცენტრებზე, სოციალურ და იურიდიულ სამსახურებზე, სადაც მას შეუძლია მიმართოს დახმარებლად. უაღრესად მნიშვნელოვანია ძალადობის ისტორიის ზედმიწევნითი დოკუმენტაციის შედგენა: ძალადობის სახეობის განმარტება, ფიზიკური (ემოციონალური, სექსუალური) ძალადობის აღწერა. ეს დოკუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს თუ ქალი მოისურვებს მოძალადის პასუხისმგებლობაში მიცემას.

ორი უმთავრესი პრინციპი, რომელიც უნდა დაიცვა პაციენტთან საუბრისას:

1. არ მისცეთ პირადი ნახიათის რჩევა მის მომავალ ცხოვრებასთან დაკავშირებით (მაგალითად, გაშორდით, ან დააშინეთ, რომ პოლიციაში უჩივლებთ);
2. არ დაკითხოთ ქალი ქმრის/პარტნიორის მხრიდან ძალადობის სიტუაციაში მის ქცევებთან დაკავშირებით, რამდენადაც ძალადობის სიტუაციაში პირველ ადგილზე უნდა იყოს ძალადობის ფაქტი და არა დაზარალებული მხარის ქცევა.

ყოველთვის უნდა გვასსოვდეს იმის შესახებ, რომ თქვენ მის მდგომარეობაში არ ყოფილხართ და ამიტომ არ შეგიძლიათ განსაჯოთ სწორად მოიქცა თუ არა ის.

რა უნდა გავაკეთოთ? მოდით განვიხილოთ დახმარების ძირითადი მომენტები, ანუ ინტერვენცია სიტუაციაში

ეფექტური რეაგირების მიზნები ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე:

- დაზარალებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- მხარდაჭერა დაზარალებულისა და მისი ბავშვების დასაცავად
- ამის განსახორციელებლად სპეციალისტმა უნდა:
 - დააფასოს პაციენტის გამოცდილება
 - გაუწიოს მხარდაჭერა
 - მიაწოდოს ინფორმაცია რესურს-ცენტრების/შესაძლებლობების შესახებ

რეკომენდაციები ტრენერისათვის:

მონაწილეების ყურადღება განსაკუთრებულად მიაპყარით იმაზე, რომ ინტერვენციის მიზანი არ მდგომარეობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იძულებაში მიატოვოს თავისი მოძალადე, „გამოასწოროს“ სიტუაცია ან ჩაატაროს ფსიქოთერაპიის სიანსი, არამედ მისი მიზანია მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია და გაუწიოს მხარდაჭერა.

ინტერვენცია: საკვანძო ელემენტების განხილვა

- მოუსმინო, მიიღო მისი ინფორმაცია და შესვიდე კონტაქტში
- გამონატო მხარდაჭერა და პატივისცემა
- განისილო პაციენტის უსაფრთხოების საკითხები
- მიაწოდო ინფორმაცია ოჯახში ძალადობაზე
- ურჩიო, სად შეუძლია კიდევ მიმართოს
- პაციენტთან შედგომი ურთიერთობების ინიცირება

ინტერვენცია №1: პაციენტთან ურთიერთობა და თქვენი პოზიცია

- უჩვენეთ პაციენტს, რომ თქვენ ღელავთ მის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე
- თქვენ გესმით, რომ ის რთულ სიტუაციაშია და გსურთ მის იდეას მხარი დაუჭიროთ
- ის მარტო არ არის და შეიძლება გამოსავლის პოვნა ამ სიტუაციიდან
- მიანიშნეთ, რომ ის არ არის დამნაშავე, ძალადობის პროვოცირება მას არ მოუხდენია: არავინ არ იმსახურებს სასტიკ მოპყრობას
- თქვენ აფასებთ მის ნდობას და გამოსავლის პოვნის სურვილს

რეკომენდაციები ტრენერისათვის:

წარმოუდგინეთ დაზარალებულს მხარდაჭერის გამომსატველი მაგალითები („თქვენ

ეს არ დაგიმსახურებიათ. ოჯახში ძალადობას გამართლება არ აქვს. თქვენ უკეთესს იმსახურებთ;“ „მე მოხარული ვარ, რომ მიაბზეთ ამის შესახებ. მინდა ვიცოდე ამ პრობლემის შესახებ, რათა ერთად შევძლოთ მუშაობა იმაზე, თუ როგორ შევინარჩუნოთ თქვენი უსაფრთხოება და ბედნიერება“; „მე ძალიან შეშფოთებული ვარ. ეს თქვენ გაზარალებთ (ასევე თქვენს ბავშვებს)“; ეს რთული პრობლემაა. ზოგჯერ დიდი დრო გადის იქამდე, სანამ გადაჭრი მას“; „თქვენ არ ხართ მარტო მდგომარეობაში გარკვევის მცდელობისას. არის ზოგიერთი შესაძლებლობა. მე მხარს ვუჭერ თქვენს არჩევანს“). თქვენ ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ მონაწილეებს მოიყვანონ თავიანთი მაგალითები.

ქალებთან ურთიერთობისათვის რეკომენდირებული ვარიანტები:

- რამდენადაც ძალადობის მსხვერპლი ქალები სწორად არიან იზოლაციაში, დაარწმუნეთ ისინი, რომ ისინი მარტო არ არიან, მათთვის აუცილებელია გაიგონ იმის შესახებ, რომ მრავალი ქალი განიცდის ძალადობას პარტნიორის მხრიდან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნება იმის შეტყობაც, რომ შესაძლებელია დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება და მედიცინის მუშაკები მზად არიან მიაწოდონ ინფორმაცია ამ მხარდაჭერის შესახებ. ასეთი საუბარი შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი არსებობისათვის ძალადობის გარეშე;
- უთხარით, რომ ძალადობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქცევის

მისაღებ ნორმას – ქალებს სომ სწირად ესმით იმის შესახებ, რომ ისინი დამნაშავეები არიან იმაში, რომ მოძალადე მიმართავს ძალადობას. ძალადობას გამართლება არ აქვს;

- უცილებელია ქალებს უთხრათ იმის შესახებ, რომ თქვენი საუბარი ყოველთვის იქნება უაღრესად კონფიდენციალური;
- მნიშვნელოვანია ძალადობის ფაქტების დაფიქსირება კონკრეტული ტერმინებით ავადმყოფობის ისტორიაში. ამასთანავე, საჭიროა უთხრათ ქალს იმის შესახებ, რომ ეს მტკიცებულებები იქნება გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს ის სასამართლოში თავის დასაცავად;
- უცილებელია მიაწოდოთ ქალს ინფორმაცია ძალადობის ციკლის დინამიკაზე;
- გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განისილთ სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლო ვარიანტები, მიაწოდოთ ინფორმაცია კრიზისული ცენტრების ან სხვა ორგანიზაციების შესახებ, სადაც შესაძლებელია დახმარების მიღება.

საუბრის დროს აუცილებელია გაარკვიოთ საფრთხის დონე, რომელიც ემუქრება ქალისა და მისი ბავშვების სიცოცხლეს. თუ ქმარი (პარტნიორი) მიმართავს ძალადობას იარაღის გამოყენებით ან მძიმე საგნით, თუ მან ეს ჩაიდინა ქალის დასრჩობის მიზნით, თუ ის დაემუქრა მას სიკვდილით, მაშინ, მოცემული სიტუაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის თქვენი პაციენტის სიცოცხლეს. შესაძლებელია, ამ სიტუაციაში აუცილებელი იყოს უსაფრთხოების გეგმის მოფიქრება.

ინტერვენცია №2: მიაწოდეთ პაციენტს ინფორმაცია ოჯახში ძალადობაზე

- ოჯახში ძალადობა ძალიან გავრცელებულია. ოჯახში ძალადობა პრობლემაა, რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს პაციენტებისა და მათი ბავშვების ჯანმრთელობაზე. ძალადობა შეიძლება გაძლიერდეს; ასევე იზრდება მის მიერ მიყენებული ზიანი;
- ფიზიკური ძალადობა მხოლოდ ერთერთი შემადგენელი ნაწილია;
- ოჯახში ძალადობა განმეორებადია და მისი ინტენსივობა ნაწილობრივ იზრდება დროთა განმავლობაში;
- ბავშვები იტანჯებიან ოჯახში ძალადობის გამო: სასტიკი მოპყრობის და იმის გამოც, რომ ისინი სედავენ ძალადობას ან ისმენენ შეურაცხყოფას;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთა – მოძალადის, და არა დაზარალებულის პასუხისმგებლობა;
- გარემოცვის დახმარებითა და მხარდაჭერით დაზარალებულებმა შეიძლება უკეთესად დაიცვან საკუთარი თავისა და ბავშვების უსაფრთხოება;
- ჩამოთვალეთ თქვენთვის სელმისაწვდომი დახმარება: ჯანდაცვა, კრიზისული ცენტრები, იურიდიული ორგანიზაციები და ა.შ.

ინტერვენცია №3: დამატებითი მხარდაჭერის წყაროები

რეკომენდაციები ტრენერისათვის:

ტრენერმა აუცილებლად უნდა შეადგინოს საინფორმაციო დასარიგებელი ფურცელი.

სადაც მითითებული იქნება ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე ადგილობრივი რესურს-ცენტრები, ორგანიზაციები, სადაც შეიძლება გაუშვა პაციენტი.

პაციენტის ყურადღება მიაქციეთ ადგილობრივი რესურსებისაკენ:

- იურიდიული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, რომელიც თქვენს სამედიცინო დაწესებულებაში არსებობს;
- სპეციალიზირებული იურიდიული მხარდაჭერა, კონსულტაციები, კრიზისული ცენტრები, თავშესაფარი, თუკი ასეთი არსებობს თქვენს რეგიონში;
- სპეციალური სამსახურები.

რეკომენდაციები ტრენერისათვის:

პრეზენტაციის ამ ნაწილის შევსება აუცილებელია ცალკეული სემინტებით ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რომლებიც უწევენ დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლს: კერძოდ, რა სახის დახმარებას უწევენ კონკრეტულად, მაგალითად, კრიზისული ცენტრები, როგორია მისი მუშაობის პრინციპები და ა.შ. ჩვენ გირჩევთ მსგავსი ორგანიზაციიდან მოიწვიოთ სპეციალისტი (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ა.შ.) აღნიშნული პრეზენტაციის ჩასატარებლად.

ინტერვენცია №4: უსაფრთხოების გეგმა

თუ ქმარი (პარტნიორი) მიმართავს ძალადობას იარაღის ან მძიმე საგნის გამოყენე-

ბით, თუ ის ეცადა დაესრულო ქალი, თუ ის დაემაუქრა მას მოკვლით, მაშინ, მოცემული სიტუაცია წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს თქვენი პაციენტის სიცოცხლისათვის. თქვენ შეგიძლიათ იხსნათ მისი სიცოცხლე, თუ მიახვედრებთ პაციენტს დაგვემოს საკუთარი უსაფრთხოება.

უსაფრთხოების გეგმის შედგენისას დაიცავით შემდეგი პრინციპები:

- პატივი ეცით მის არჩევანს და ნუ აიძულებთ
- ნუ მისცემთ რჩევებს (მაგალითად, მიატოვოს ქმარი), მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს
- შეიმუშავეთ უსაფრთხოების გეგმა, თუკი ის გადაწყვეტს დარჩეს მოძალადესთან. განსაკუთრებით მაშინ, თუკი მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება
- განიხილეთ მსხვერპლის მოძალადისგან წამოსვლის შესაძლებლობები სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციებში
- დარწმუნდით, რომ შედგენილი უსაფრთხოების გეგმა არის მოქმედი და შესრულებადი

გეგმის შედგენა დაიწყეთ ფრაზით: „მოდი, მოვიფიქროთ, რის გაკეთება შეგიძლიათ თქვენ სასიფათო სიტუაციაში“.

წარმართეთ საუბარი პაციენტთან, მაგრამ თავი აარიდეთ რჩევების მიცემას! ისაუბრეთ ამგვარი ფრაზებით: „კიდევ რის გაკეთება შეგიძლიათ?, „კიდევ ვინ შეძლებდა თქვენს დახმარებას? და ა.შ.

თუ სიტუაცია პაციენტის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, მაშინ გულდასმით მოიფიქრეთ უსაფრთხოების გეგმა.

უსაფრთხოების გეგმა, რომელიც შეიძლება შესთავაზო პაციენტს:

- გათვალეთ თქვენი ქმედება იმ შემთხვევაზე, თუ ძალადობის აქტი კვლავ განმეორდება
- ისაუბრეთ ძალადობის შესახებ მასთან, ვისაც ენდობით (მეგობრები, ნათესავები)
- იპოვეთ ისეთი ადგილი, სადაც შეძლებდით წასვლას საფრთხის არსებობის შემთხვევაში

იმსჯელეთ უსაფრთხო გეგმაზე მასთან ერთად

- მოილაპარაკეთ მეზობლებთან, რომ მათ გამოიძახონ პატრული, თუკი გაიგონებენ სმაურს და ყვირილს თქვენი ბინიდან;
- დამალეთ სახლის (მანქანის) სათადარიგო გასაღები ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფად დატოვოთ სახლი;
- უსაფრთხო, მაგრამ ხელმისაწვდომ ადგილას დამალეთ ფული, ტელეფონების წიგნი, პასპორტი, ბავშვების საბუთები და სხვა მნიშვნელოვანი საბუთები, ასევე, ზოგიერთი ტანსაცმელი და საჭირო წამალი;
- წინასწარ მოელაპარაკეთ მეგობარს, ნათესავებს საფრთხის შემთხვევაში შე-

საძლო დროებითი თავშესაფრის მოცემის შესახებ;

- ეცადეთ გაანადგუროთ ყველა საგანი, რომელიც დაესმარებოდა მოძალადეს თქვენს მოძებნაში (ჩანაწერთა წიგნაკი, კონვერტები მისამართებით და ა.შ.);
- წინასწარ შეიტყვეთ ადგილობრივ სამსახურთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც შეძლებენ თქვენს აუცილებელ მხარდაჭერას (კრიზისული ცენტრი ქალებისათვის, ნდობის ტელეფონი და ა.შ.);
- წინასწარ გადაწყვიტეთ, ძვირფასი ნივთებიდან (იუველური ნაწარმი და ა.შ.) რას წაიღებთ თან. აუცილებლობის შემთხვევაში ყოველთვის შესაძლებელია მისი გაყიდვა ან დაგირავება;
- თუ სიტუაცია კრიტიკულია, მაშინ დაუყონებლივ დატოვეთ სახლი, მაშინაც კი, თუკი ვერ შეძელით აუცილებელი ნივთების აღება. დაისსომეთ, რომ თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია.

ნაბიჯები მომავალი დაკვირვებისთვის:

1. დანიშნეთ შემდგომი მიღება. დარწმუნდით იმაში, რომ პაციენტს ხელი მიუწვდება მკურნალ ექიმთან. შემდგომ შესვედრაზე ჰკითხეთ პაციენტს იმის შესახებ, რა ხდებოდა წინა ვიზიტის შემდგომ;
2. გადახედეთ სამედიცინო დოკუმენტაციას. ჰკითხეთ პაციენტს ძალადობის წარსულ შემთხვევებზე, რომელიც ასახულია მისი ავადმყოფობის ისტორიაში. დაარწმუნეთ ის თქვენს შემოთვალისწინებულ პრობლემის განხილვის მზაობაში.

შეჯამება:

ოჯანში ძალადობა სსვა პრობლემების მსგავსად (მოწევა, მაღალი არტერიული წნევა და ა.შ.) სშირად თსოულობს არაერთგზის ჩარევას გარკვეული დროის განმავლობაში, სანამ ის გადაიჭრება.

რეკომენდაციები ტრენერისათვის

გაცით პასუხი 2-3 კითხვას ან განისილეთ მონაწილეთა გამოცდილება. ჩაატარეთ ერთი შემთხვევის მინი დემონსტრაცია, რომელიც აღწერილია ამ თავში.

დასარიგებელი მასალა

კალაძობის სახეობი ქალებთან მიმართებაში

1. ფიზიკური ძალადობა:

ხელის კვრა, დაჭერა, დატაცება, დაგდება, შეფურთხება, დარტყმა მუშტით ან ხელით, ან სხვა საგნით, დაკავება, დასრჩობა, ცემა, პანდურის ამორტყმა, იარაღის გამოყენება, დამწვრობა, მსხვერპლის სოციალურ და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის კონტროლი და ა.შ.

2. სექსუალური ძალადობა:

მუდმივი სექსუალური ზეწოლა, სექსუალური ურთიერთობის იძულება ძალის გამოყენებით, მუქარა ან შანტაჟი (გაუპატიურება; სექსუალური ურთიერთობის იძულება ქალისთვის მიუღებელი ფორმით; სექსუალური ურთიერთობის იძულება სხვა ადამიანების თანდასწრებით; სექსუალური ურთიერთობის იძულება ბავშვების ან მესამე პირის თანდასწრებით; ფიზიკური იძულება სექსზე ან ტკივილის მიყენება, მსხვერპლის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება სექსუალური ნასიათის მოქმედების გამოყენებით და ა.შ.

3. ფსიქოლოგიური ძალადობა:

ვერბალური შეურაცხყოფა; შანტაჟი; ძალადობის აქტი ბავშვებთან ან სხვა პირებ-

თან მიმართებაში პარტნიორზე კონტროლის მოსაპოვებლად; მუქარა ძალადობის გამოყენებაზე საკუთარი თავის, მსხვერპლის ან სხვა პირებისადმი; დაშინება ძალადობის მუქარით შინაურ ცხოველებთან მიმართებაში ან პირადი ნივთების ხელყოფა; თვალთვალი; კონტროლი მსხვერპლის საქმიანობაზე; კონტროლი მსხვერპლის საურთიერთო წრეზე; კონტროლი მსხვერპლის ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა რესურსებთან (სოციალური ან სამედიცინო დახმარების მიღება, მედიკამენტები, ავტოტრანსპორტი, მეგობრებთან ურთიერთობა, განათლების მიღება, სამუშაო და სხვა); ემოციური ძალადობა; მსხვერპლის იძულება მისთვის დამამცირებელი მოქმედების შესრულებაზე; კონტროლი მსხვერპლის დღის განრიგზე და სხვა.

4. ეკონომიური ძალადობა:

უარი ბავშვების რჩენაზე; შემოსავლის დამალვა; ოჯახური სახსრების სარჯვა; უმეტესი ფინანსური გადაწყვეტილების თვითნებური მიღება – ეს, შესაძლოა, გამოინატოს იმით, რომ პროდუქტების შექმნისას არ მოხდეს ბავშვებისა და ცოლის საქიროებების გათვალისწინება, და შედეგად, ბავშვებმა შესაძლოა ვერ მიიღონ მათი ასაკისთვის აუცილებელი საკვები;

ცოლს ავალდებულებს რაიმეს შექმნისას ანგარიში ჩააბაროს ქვითრებით და ა.შ.

5. ბავშვების გამოყენება ზრდასრულ მსწვერპლზე კონტროლის მოსაპოვებლად:

ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა ბავშვებზე; ბავშვების გამოყენება მძევლებად; ბავშვების იძულება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის შესასრულებლად ზრდასრულ მსწვერპლზე; მშობლის უფლებებისთვის ბრძოლა ბავშვებზე მუქარისა და მანიპულირების გზით. ბავშვების მონახულების გამოყენება ზრდასრულ მსწვერპლზე კონტროლის მოსაპოვებლად; საყვედურები, გამონატული ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „შენ ცუდი დედა ხარ, რადგან მუშაობა გინდა“, და ა.შ.

ბავშვებს და მოზარდებს შორის ქალების მიმართ არსებული ძალადობის

ბანსაზღვრად

მუხლი 1

არსებული დეკლარაციის ჩარჩოში ტერმინი „ძალადობა ქალებთან მიმართებაში“ ნიშნავს სექსუალური ნიშნის საფუძველზე ჩადენილ ნებისმიერ ძალადობის აქტს, რომელიც აყენებს ან შესაძლოა მიაყენოს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ქალის ჯანმრთელობას, ან ტანჯვა, ასევე, ასეთი აქტის ჩადენით დაშინება, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ პირადი ცნობრება.

მუხლი 2

ძალადობა ქალებთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს ქვემოთმოყვანილის შესაბამისად, მგრამ არ უნდა იქნას შემოთავრებული ამით:

- ა) ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახში, მათ შორის ცემა, ოჯახში სექსუალური ძალადობა გოგონებთან მიმართებაში, გაუპატიურება ქორწინებაში, გენიტალური დაზიანებები ქალებში და სხვა ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც ქალს აყენებს ზიანს, ძალადობა ქორწინების გარეშე, რომელსაც მიჰყავს ექსპლუატაციამდე;
- ბ) ფიზიკური სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა საზოგადოებაში, მათ შორის გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, სექსუალური მედიცინა, სამუშაოზე და სასწავლო დაწესებულებებში, სექსუალური ვაჭრობა და პროსტიტუციის იძულება.
- გ) ფიზიკური სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა სახელმწიფოს მხრიდან, იმის მიუხედავად სად სდება ეს.

ფსიქოლოგიური ძალადობის

სახეები

იზოლაცია

მაგალითები: ტელეფონის ჩაკეტვა სხვა ოთახში; შეურაცხყოფა ქალის მეგობრების მისამართით და ა.შ.

რეალობის დამახინჯებული აღქმა

მაგალითები: საყვედურები საკუთარი თავის მიმართ („მე – არაფრის მაქნისი ვარ“); გამართლების ძიება მოძალადის ქმედებებში („ექვიანობს – ესე იგი, ვუყვარვარ“).

უფლებების შეზღუდვა

მაგალითები: მუდმივი სატელეფონო ზარები ქმრისგან, რომლის მიზანია ქალის სახლში ყოფნის შემოწმება, ძილის შეზღუდვა.

დამცირება

მაგალითები: სიტყვიერი შეურაცხყოფა; მუდმივად გამეორება ისეთი ფრაზების, როგორიცაა – „შენ არაფრის მაქნისი ხარ“ და ა.შ.

უსარგებლო ქმედებების შესრულების იძულება

მაგალითები: კაცი აიძულებს, რომ პირსახოცი ჩამოიკიდოს მსოლოდ ერთგვარად; მოთხოვნა, რომ ფენსაცმლის ძირები ყოველთვის გაწმენდილი იყოს და ა.შ.

დაშინება

მაგალითები: საგნების დაზიანება; დაშინება იმ სახით, როგორიცაა: „მე ყველგან გიპოვნის“, და ა.შ.

ქალზე სრული კონტროლი

მაგალითები: საერთო საბანკო ანგარიშის მოხმარების დახურვა; აკრძალვა; ქალის იძულება მუდმივად სთხოვოს ფული მოძალადეს და ა.შ.

დამშვიდების იშვიათი პერიოდები

მაგალითები: მოულოდნელი საჩუქრები, ერთობლივი ოჯახური დასვენება.

სტრუქტურული კალაღობის

სახეები

ძალადობის სახეები წარმოადგენს საზოგადოების ანარეკლს, რომელშიც ადგილი აქვს სექსიზმსა და გენდერული პრინციპების სოციალიზაციას. ამას მიყვაროთ ძალადობის მოთმენამდე საზოგადოებაში და ძალადობის სახეები „ნორმალურ მოვლენად“ აღიქმება.

იზოლაცია

მაგალითად შეიძლება გამოდგეს ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა - „ქალი უნდა იჯდეს სახლში“; „ექვიანობა – სიყვარულის მაჩვენებელია“, ასევე, ქალის თავისუფლების შეზღუდვა იმ საფუძველით, რომ ის უნდა დაკავდეს მსოლოდ ბავშვებით.

უფლებების შეზღუდვა

- ქალები, რომლებიც მუშაობენ, პაასუნისმგებელნი არიან სამუშაოზე, ოჯახზე, საოჯახო მეურნეობაზე
- ქალები მთელი დღე-ღამის განმავლობაში პაასუნისმგებელნი არიან ოჯახსა და სახლზე
- ქალებს არ სძინავთ საკმარისად, თუკი მათ პატარა ბავშვები ჰყავთ
- ქალები უნდა დასჯერდნენ ცნოვრებას, რომელიც მათი სახლით შემოიფარგლა

დამცირება

- ურთიერთობა ქალებთან საზოგადოებაში: ხუმრობა, ქალთა ხასის გამოყენება სავაჭრო საქონლის რეკლამაში
- ქალთა დასაქმება მცირეანაზღაურებად სამუშაოზე
- ქალთა არასაკმარისი წარმოდგენა ხელისუფლებაში, პოლიტიკურ პარტიებში, გადაწყვეტილების მიღების დონეზე

უსარგებლო ქმედებების შესრულების იძულება

- ივარაუდება, რომ სამსახურში ქალებმა უნდა მოადულონ ყავა მამაკაცებისათვის
- ქალებს ავალებენ შეასრულონ მეორეხარისისნოვანი ამოცანები
- ივარაუდება, რომ ოჯახური მეურნეობა და დალაგება – ქალების საქმეა; ამგვარი საქმიანობის დაუფასებლობა

დაშინება

ქალები, რომლებიც არ შეესაბამიან საზოგადოების გენდერულ მოლოდინს, რისკავენ რომ განდენ სოციალურად გარიყულნი.

სრული კონტროლი ქალზე

- მამაკაცი – ოჯახის თავი
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე
- რესტორანში ფულს ისდიან მამაკაცები
- მანქანას ყოველთვის ატარებენ მამაკაცები


- მამაკაცები სარგებლობენ ყველა შესაძლო უპირატესობით, მათ ემსახურებიან ხასლში
- მამაკაცები პასუხისმგებელნი არ არიან საოჯახო მეურნეობაზე

ქალადროზის უემთხვევაში

- 18 წლის ანაღვანრდა თავს ესხმის ქალს, რომელიც მასზე უფროსია, აბამს სკამზე და პირში ალიკავს უდებს;
- დედა ბავშვს სილას აწნავს იმის გამო, რომ ბავშვი არ უსმენს მას გამუდმებით;
- ქმარი ემუქრება ცოლს ცემით, თუ ის უარს ეტყვის სექსუალურ ურთიერთობაზე;
- ქმარი იჭრება ხასლში ყოფილ ცოლთან და იმ ზომამდე ცემს, რომ ცოლს ესაჭიროება სამედიცინო დახმარება;
- ქმარი ყოველდღიურად შეურაცხყოფს ცოლს და უწოდებს „სულელ ქათამს, ძროხას“;
- ქმარი ურტყავს ფეხშიმე ცოლს მუცელში.
- მამა ხასტიკად ეპყრობა ძაღლს და გამეტებით სცემს ორ მტირალ ბავშვს;
- მამაკაცი ცოლს მერვე სართულის აივნიდან ემუქრება გადაგდებით;
- მამაკაცი ურტყამს ცოლს მუშტს ხასეში იმის გამო, რომ მას არ მოეწონა ცოლის მომზადებული საქმელი;
- მამაკაცი კეტავს ცოლს ბინაში მთელი დღით, რადგან ეჭვობს, რომ ცოლი ზედმეტად ხშირად უყურებს სხვა მამაკაცებს.

კალაძობის სტადიები და დინამიკა

ძალადობის სტადიები:



ბევრ შემთხვევაში ეს პროცესი ციკლის სა-
ნით მიმდინარეობს, „შერიგების“ ფაზას
ციკლის ძალადობის ფაზა. საქიროთა იმის
გაცნობიერება, რომ მოძალადეები „შერიგე-
ბის“ იშვიათ პერიოდს იყენებენ ქალის მას-
ზე დამოკიდებულების გაძლიერების სტრა-
ტეგიისათვის.

ძალადობის დინამიკა

- ურთიერთობის რომანტიკული იდეალი-
ზაცია
- დამალული წინათგრძნობა
- ქალი ცდილობს გამოსატოს თავისი
წარმოდგენა ურთიერთობებზე;
- მამაკაცი იწყებს მის გაკრიტიკებას ან
ქალის მიმართ სდება გაღიზიანებული,
მის მიმართ გრძნობს სიბრაზეს;
- ქალი გრძნობს პასუხისმგებლობას არ-
სებულ სიტუაციაზე და ცდილობს მის
„გადარჩენას“;

- მამაკაცი ღუნდება, სდება რომანტიკუ-
ლი მითის აღდგენა ურთიერთობებზე;
- ქალი იმყოფება ფრუსტრაციის მდგომარე-
ობაში;
- მამაკაცი იწყებს ძალადობას; იწყება
რეალურისა და იდეალურის განსხვავე-
ბა;
- ქალი იმყოფება იზოლაციის მდგომარე-
ობაში; ის გრძნობს რომ უღალატეს;
- მამაკაცი შიშობს კონტაქტის დაკარგვას
და ცდილობს მის აღდგენას ძალადობი-
სა და კონტროლის მეშვეობით;
- ქალი სდება უფრო მეტად პასიური და
იზოლირებული;
- მამაკაცი განიცდის კონტროლის დაკარ-
გვის უფრო დიდ შიშს; სდება ძალადო-
ბის ხარისხის გაძლიერება;
- სისტემის სრული დისფუნქცია ყველა
დონეზე.

ძალადობის ნიშნები

ფიზიკური სიმპტომები

- ჩალურჯებები
- დაჟეჟილობა
- სსეულის დაზიანება (დამწვრობა, ქრილობა, კბენის კვალი, ქრილობები თავზე)

- ჩამტვრეული კბილები
- მოტენილობა ნეკნების, ცხვირის და სხვა
- ყბის ან მსრის ამოვარდნა
- სმენის პრობლემა
- სასქესო ორგანოების დაზიანება
- თავის ქალის დაზიანება

ფსიქოლოგიური სიმპტომები

შიშის სიმპტომები:	უსასოობის სიმპტომები:	დაძაბულობის სიმპტომები:
გასშირებული გულისცემა ჰიპერვინტილაცია კანკალი გაძლიერებული ოფლიანობა თავბრუსხვევა ტკივილი მუცლის არეში ტკივილი გულის არეში საუნთქვის პრობლემები უძილობა	სისუსტე დეპრესია დამთრგუნველი მდგომარეობა დაღლილობა	თავის ტკივილი ძილის მოშლა ტკივილი მუცლის არეში მენსტრუალური ციკლის დარღვევა

ფსიქოსოციალური სიმპტომები

- დანაშაულის შეგრძნება
- სირცხვილი
- დაძაბულობა
- გაფანტულობა
- საკუთარი თავის ნეგატიური აღქმა
- სოციალური იზოლაცია
- პრობლემები ურთიერთობებში
- სექსუალური პრობლემები
- დათრგუნული ემოციები
- არეული ემოციები

ქცევის სიმპტომები

- დათრგუნული და/ან მორჩილი ქცევა
- აშკარა ნერვოზულობა
- დანიშნული შესვედრების სშირი გადადება
- მუდმივი, მჭიდრო კავშირი მოძალადესთან
- ისეთი ფრაზები, როგორცაა „ჩემი ქმარი (არ) დამრთავს ნებას“...

რატომ რჩებიან ქალები მოკლადესთან? რეალური ისტორიები

ტატიანა გათხოვილია უკვე 10 წელია. ის ცხოვრობს ქმართან და 5 და 11 წლის შვილთან ერთად ახალ ბინაში. ბინის შესაძენად ფულის ნაწილი მათ იშოვეს მეგობრებისა და ბანკიდან. ბინისა და ავეჯის ფულის გადასახდელად კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდებათ. ტატიანა მუშაობს უახლოეს სუპერმარკეტში. მისი ქმარი – რაიონული ადმინისტრაციის წვრილი მოხელეა. მათი გოგონა დადის დაწყებით სკოლაში, ბიჭი – საბავშვო ბაღში. როდესაც სრულდება გაკვეთილები, გოგონა მიდის საბავშვო ბაღში, იქიდან კი ორივე მამას გამოჰყავს, თვითონ ტატიანა 20 საათამდე მუშაობს. ტატიანა სწირად წუნს ამ საკითხზე, რადგან იყო შემთხვევები, როდესაც ქმარს არ გამოჰყავდა ბავშვები და ისინი სახლში ფეხით ბრუნდებოდნენ.

ტატიანას ქმარი ყოველთვის ექვიანი და ფეთქებადი ხასიათის იყო. მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც ის იყო ძალიან ყურადღებიანი და ჩუქნიდა საჩუქრებს. თავიდან ტატიანას ექვიანობა სიყვარულის გამო-ნატულებად მიაჩნდა, მაგრამ მალე მან დაიწყო ცემა. ტატიანას ყოველთვის იმის იმედი ჰქონდა, რომ სიტუაცია შეიცვლებოდა – როდესაც ახალ ბინაში გადავიდოდნენ, როდესაც გაჩნდებოდა მეორე შვილი

და ა.შ. მაგრამ სინამდვილეში სიტუაცია უარესდებოდა თანდათან. ორი თვის წინ ქმარმა ის ისე სასტიკად ცემა, რომ თვალი ჩაულურჯა და ტატიანა იძულებული გახდა არ წასულიყო სამსახურში რამდენიმე დღის განმავლობაში.

მარინა 25 წლის, ჩამოვიდა უკრაინიდან. ქმარი გაიცნო ორი წლის წინ, როდესაც ის იმყოფებოდა უკრაინაში (იალტაში) შვებულებით. რამდენიმე თვის შემდეგ მისი წასვლიდან სთხოვა ჩასულიყო მასთან და მათ გადაწყვიტეს დაქორწინება. სახლში მარინას ქმარი ძალიან თავაზიანია და მის სამშობლოში ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ მას ძალიან გაუმართლა. მაგრამ სინამდვილეში მარინა განსაცდელშია. როდესაც ისინი სახლში ერთად არიან, ის გულგრილია მის მიმართ და ზოგჯერ აგრესიულიც. ის დიდ დროს ატარებს სიმარტოვეში, რადგანაც ქმარი სწირად მიემგზავრება მივლინებით, სოლო მარინა დიასახლისია. ის სწირად ურეკავს მარინას იქიდან, რათა შეამოწმოს სახლშია თუ არა და რითია დაკავებული. მარინა ექვსი თვის ფესმძიმეა. მის ქმარს არ უნდა ბავშვები – მას უკვე ჰყავს ორი შვილი პირველი ქორწინებიდან და ის ისდის ალიმენტს. მას უწოდებს ზარმაცს, რადგან ფესმძიმობის გამო მალე იღლება და ისვენებს. წინა კვირას მან მუშტი დაარტყა მუცელში იმის გამო, რომ მარინამ არ დააუთოვა მისი საყვარელი პერანგი.

ბავშვების მდგომარეობა

ოჯახში ძალადობის შედეგად გამოწვეული ასაკობრივი თავისებურებანი

	ემოციები	შეუმჯობესება	ქვევა
<p>სკოლაში ბავშვები ამა ან ამა უფრო მეტად მგრძობიანებიან და გულანვილები არიან და უფრო ნაკლებად ფლობენ შედეგებით და ყოფილიყო უნარჩვევებს სიტუაციასთან გასამკლავებლად.</p>	<p>ბავშვი, შფოთვა, შფოთვა მშობლების ურთიერთობებზე, განსაკუთრებით განსაკუთრებული გამოწვევა, გაღიზიანება.</p>	<p>მოვლენების მიმართ მოკლე მესხურება, ძალადობის შეზღუდული გაცემა, განსაკუთრებული მოვლენების ჩვეული მოვლენების აღრევების, ოჯახის გაერთიანების სერიოზული.</p>	<p>ტრილი, ჩივილი, გავიზიანება, აფეთქებები, თავის თავში ჩაქცევა, პასიურობა, განვითარების უნარჩვევების დაკარგვა (თავშეზღუდვებლობა, ექსპლუატივიზმი). სიტუაციების უახლოესი მკვლევარობა, ღამის კოშმარები, ძილის დარღვევა</p>
<p>სკოლის ასაკის ამ ასაკის ბავშვები ფლობენ შედეგებით, ემოციურ და ყოფილიყო უნარჩვევების უფრო ფართო სპექტრის მათთვის მატრამფირებელ სიტუაციასთან გასამკლავებლად. ისინი უფრო აქტიურად ცდილობენ შექმნიანადმოკონ ძალადობას, ცდილობენ დაიცვან მსხვერპლი და განსაზღვრონ სტრუქტურული სიტუაციის მნიშვნელობა. შედეგად, უმცროსი ასაკის ბავშვებთან შედარებით ეს ბავშვები განიცდიან დანაშაულისა და სირცხვილის გრძობას, მშობლებთან გაორებული დაძვირებისა და მუდმივ დეპრესიას.</p>	<p>დეპრესია, უხალისობა, შფოთვა, დანაშაულისა და სირცხვილის გრძობა, პასუხისმგებლობისა და დაუცველობის გრძობა, მოუხერხებლობა და მაღალი მგრძობიანობა სავსებით მიმართ უნდობლობა, ძალადობის ჩამდგენი მშობლებთან მიმართებაში გაორებული მშობლებთან და ექვი</p>	<p>კონცენტრირებისთვის არასაკმარისი უნარი, მიმბეჭდვებილი ფიქრები და ძალადობის მუგალითობა, ფანტაზიები ოჯახის ან მსხვერპლის გათავისუფლების მიზნით, ძალადობის გაცემის მხარე, ძალადობის გაცემის მხარე და მოკიდებულია განხორციელებაზე.</p>	<p>სასკოლო მოსწრების უმცირესი, მემკვიდრებითი, პასიური სიტუაციური ქვევა, ფიქსირებული სხვაობის ჩივილი (მტკიცე, თავი და ა.შ.) აგრესიულობა და სხვა-ტვიკ სხვეტთან მიმართებაში, დაუწყებელი და გამომწვევი ქვევა, აგვის, სავსების დამტყვევება, აგრესიული სიტუაციის გათავისუფლება სავსების ან თამაშის პროცესში, თანატოლებთან ურთიერთობების დევევა, ცუდი ჩვევების ჩამოყალიბება.</p>
<p>ახალგაზრდობის ასაკი ოჯახში ძალადობისა და შეუწყნარებლობის მუდმივ გამოვლენას მიყვარებ ბავშვებს ოჯახებთან დაშორებას ადრეული ასაკში, შედეგად, მოზარდებს შეიძლება მათთვის ოჯახები ადრეულ ასაკში და გამოავლინონ ანტი-სოციალური და თვითდამანგრეველი ქვევა, გაორება მშობლებთან დაძვირებული უბედობაში შეიძლება შეცვალოს კეთილგანწყობილი ერთ-ერთი მათგანის მიმართ.</p>	<p>თვითგვემა, დანაშაულისა და სირცხვილის გრძობა, თვით-მკვლელობაზე ფიქრი, განრისხება, ვაშაგება, ემოციური აფეთქება, აგრესიის გამოვლენა, დეპრესია და უიმედობის გრძობა, ერთ-ერთი მშობლის მიმართ ერთგულება, სხვის მიმართ თანაგრძობის არქონა, მშვიდობა და უნდობლობა დიდების მიმართ.</p>	<p>აბეზარი ფიქრები და ძალადობის სახეები, კონცენტრირების არასაკმარისი უნარი, სიყვარულისა და ძალადობის ცნებების არევა, რწმენა იმისა, რომ ძალადობა ნორმალური ქვევაა, დანაშაულის გადაბრალება სხვაზე</p>	<p>სასკოლო მოსწრების უმცირესი, მემკვიდრების გაცემა, სხვადასხვა ქვევა, მაღალი სექსუალური აქტიურობა, ანტი-სოციალური ქვევა, სამართალდარღვევა, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება, უარი დიდობთან თანამშრომლობაზე, ფიქრები და ძალადობრივი სახითი პიროვნულ ურთიერთობებში, ძალადობა და შეუწყნარებელი სიყვარული ადამიანებს.</p>

რეალური ისტორიები

მიშა

თქვენ ხართ აღმზრდელი საბავშვო ბაღში. თქვენს ჯგუფშია 4 წლის მიშა. იცით რომ მისი დედა, რომელიც ჩამოვიდა კარპინსკიდან, ამჟამად ცხოვრობს ქალებისთვის განკუთვნილ თავშესაფარში, რადგან ის ცემა ქმარმა. დღეს დილით მამა უეცრად გამოჩნდა საბავშვო ბაღში და თქვა, რომ მას უნდა მიშას წაყვანა.

კითხვა: რას იზამთ?

მიზიუზი, რომლის ბავშვს პროფინდონა-ლავს შეუქლიათ „არ შენიშონ“ კალა-ფობა.

- მე მიჭირს ჩემს თავთან გამკლავება, როდესაც სხვები განიცდიან ძლიერ ემოციებს
- თუკი მე გამოვავლენ ძალადობას, მე დამჭირდება რომ თავად მოუხერსო რამე (მე კი არ ვიცი როგორ)
- მე მეშინია, რომ მომიწევს მოძალადესთან შეჯახება
- დარწმუნებული არ ვარ, რომ მე შემიძლია სხვა ადამიანის წაქეზება
- არ მინდა გამოვძალო მას, ამიტომ დავგელოდები, სანამ თვითონ არ დაიწყებს ამის შესახებ საუბარს
- რა იქნება, თუ მასზე არ ძალადობენ და მე შევეხე ამ თემას?
- მე არ ვიცი როგორ დავიწყო საუბარი ამ თემაზე
- მე არ ვარ დარწმუნებული მისი ნათქვამის სიმართლეში – საჭიროა თუ არა მე მჯეროდეს ყველაფრის?

- ეს პირადი საქმეა, მე არ უნდა ჩავერიო
- ქალებს არ უყვართ საუბარი ძალადობის შესახებ
- ქალს არ სურს მიიღოს რაიმე ზომა ძალადობის სიტუაციაში
- მე ძალზე დაკავებული ვარ: მე არ მაქვს დრო, რომ ამითაც დაგვაგდე
- ქალი იღებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკს
- უპირველესად მე უნდა ვიყო დარწმუნებული, რომ ეს მართლაც ძალადობის სიტუაციაა

მიზიუზი, რომლის ბავშვს ძაღვები კალა-ფობის მსხვერპლები ხდებიან და არ სურთ მიმართონ დასახმარებლად ვინმეს

- სირცხვილისა და დანაშაულის შეგრძნება
- შიში, რომ მას დაადანაშაულებენ
- ორგანიზაციების მიმართ უნდობლობა, რომელსაც აუცილებელია რომ მიმართო (ნეგატიური გამოცდილება)
- შიში შედეგების წინაშე („რა იქნება, თუკი მე მოვეყვები ამის შესახებ“) შიში შესაძლო განსმარების (როდესაც ქალი იძულებულია ეს აკეთოს მალულად)
- ოჯახის დაცვა (არ აქვს სურვილი ოჯახის ჩხუბი გარეთ გაიტანოს)
- მოთმინება პარტნიორთან/მოძალადესთან
- საკუთარი ემოციებისა და აგრესიის წინაშე შიში
- მდგომარეობის სერიოზულობის ხარისხის მინიმიზაცია („ყველაფერი უკანაა, არაფერი სერიოზული არ მომხდარა“), სიტუაციის სერიოზულობის უარყოფა

- საქიროა მდგომარეობიდან თვითონ გა-
მოსვლა, და არა დასასმარებლად ვინ-
მესთვის მიმართვა: „შენ თვითონ უნდა
მოძებნო გამოსავალი, არ არის საქირო
დასმარების ძიება სსვაგან!“

მომკლადის სტრატეგია

თემა 1. სტრატეგია სიმართლის დასამა-
ლად

საკუთარი ქცევის გასამართლებლად მიზე- ზების პოვნა:

- „მე ვბრაზობ, იმიტომ, რომ მიჯაჭვული
ვარ შენზე“
- „მე მგონი არ გიყვარვარ“
- „ეს ჩვენთან მიღებულია“
- „მე მიჩვეული ვარ ასეთ ქცევას ბავ-
შეობიდან“

პრობლემების უარყოფა:

- „უარესი მამაკაციც არსებობს; ყოველ
შემთხვევაში მე მას არ ვცემ!“
- „მე მოძალადე ვარ? რა თქმა უნდა
არა. მე არასოდეს გამოვიყენებ ძალას
ქალის მიმართ!“
- „არ მასსოვს, რომ ეს ჩამედინოს“
- „მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს“

ძალადობის სერიოზულობის უარყოფა:

- „მე ის არ მიცემია“
- „ამის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ვესიყვა-
რულებოდით“
- „ჩვენ სწორად ვჩნუბობთ, მაგრამ ყველ-
გან ასე ხდება“
- „მე ვერ ვაკონტროლებ თავს!“

პასუხისმგებლობის აცილება ამ პრობლე- მაზე

- „ჩვენ ორივემ დავლიეთ/ მივიღეთ ნარ-
კოტიკი“
- „მან თვითონ მთხოვა“
- „მან იცის, რომ არ მიყვარს, როდესაც
ასე მელაპარაკებიან“
- „მუდმივად რომ არ მითვათვალებდეს“

ძალადობის განმეორების შესაძლებლობის უარყოფა

- „ეს ჩემთვის იყო მაგალითი“
- „შევპირდი მას, რომ ეს აღარ განმე-
ორდება“
- „არ ვიცი რა დამემართა“.

თემა 2. დაბრკოლებები პასუხისმგებლობის
აღების დროს

- აღშფოთება ზეწოლის მიზეზით, რომე-
ლიც აუცილებელია, რათა შეცვალო
შენი თავი
- მამაკაცური სიამაყე ნებას არ რთავს
აღიაროს საკუთარი შეცდომები
- ახლო ურთიერთობების შიში მას ხდის
მოწყვლადს
- სიტუაციის მიზეზით შფოთვა; გაუგება-
რია როგორ დართავს ნებას
- ქცევის მოდელის ფორმირება მოხდა
წარსულში
- სწრაფვა იმისკენ, არ გახდეს ისეთი,
როგორც მამამისი იყო; დედა, რომე-
ლიც ცუდი მაგალითია
- სირცხვილი („მე ცუდი ვარ“) დანაშა-
ულის ნაცვლად („მე რაღაც ისე არ
გავაკეთე“)

- შეჯიბრი: აფასებენ მის წარმატებას, ყურადღებას არ აქცევენ მის შიშებს ან გრძნობებს
- შიში იმ შესაძლებლობის გამო, რათა დაინახო შენი პიროვნების უცნობი მხარეები
- მამაკაცისთვის ადვილი არაა გამოსატოს თავისი გრძნობა

ინტერვენციის ოთხი ეფექტური მეთოდი ქალთა მოთხოვნით, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი არიან

- დაწარალებული ქალის გამოცდილების გაზიარება
- დაწარალებულის ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება
- დახმარება დაიბრუნოს კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე
- ასწავლო სიტუაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა

საუბარი მოძალადესთან

კონსულტანტი: მითხარით, უკანასკნელად როდის დაარტყით ცოლს?

კლიენტი: ზუსტად არ მახსოვს. ჩვენ რაღაცაზე ვსაუბრობდით და წყობილებიდან გამოვედი.

კონსულტანტი: რამდენად ხშირად ცემთ?

კლიენტი: არ მახსოვს, როდესაც გონება მებინდება და საკუთარი თავის კონტროლს ვკარგავ.

კონსულტანტი: რატომ არ დაქვრით ის დანით?

კლიენტი (შოკში): მე ამას არასოდეს არ გავაკეთებდი – ის სომ ჩემი ცოლია.

კონსულტანტი: თუ მე სწორად მივხვდი, თქვენ თქვით, რომ დაკარგეთ კონტროლი საკუთარ თავზე. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

კლიენტი: მე ბოლომდე არ დამიკარგავს კონტროლი.

კონსულტანტი: მოდით ვნახოთ კონტროლის რა ზომით დაკარგავაზე იყავით თანახმა. მიჩვენეთ როგორ დაარტყით ცოლს. (დგება). ახლა მე თქვენი ცოლი ვარ.

კლიენტი (ჭორჭიმანით, გაუბედავად): არ ვიცი. უბრალოდ დავარტყი. დაწვრილებით არ მახსოვს.

კონსულტანტი: მიჩვენეთ როგორ დაარტყით – მუშტით თუ ხელისგულით?

კლიენტი (შეძრწუნებული): მე გავარტყი მას. მე არასდროს დავარტყავდი მას ისე, როგორც კაცს.

კონსულტანტი: კარგი. მაშ ასე, თქვენ გადაწყვიტეთ გაგერტყათ მისთვის იმის მაგივრად, რომ გეცემათ. თქვენ მას რაიმე ესროლეთ?

კლიენტი: არა.

კონსულტანტი: კარგი. თქვენ მას გაარტყით, მაგრამ არაფერი არ ესროლეთ. სად გაარტყით?

კლიენტი: არ ვიცი. მე არ ვფიქრობ ამაზე.

კონსულტანტი: მოდით დავიწყოთ თავიდან. თქვენ მას დაარტყით, იმის მაგივრად, რომ დანით დაგეჭრათ ან მისთვის რაიმე გესროლათ. ამ მომენტში თქვენ კიდევ არ

გქონდათ დაკარგული კონტროლი საკუთარ თავზე. შემდეგ თქვენ გავარტყით მას იმის მაგივრად, რომ გეცემათ. თქვენ არ გინდოდათ მოქცეოდით მას, როგორც მამაკაცს. შემდეგ თქვენ გადაწყვიტეთ რომელ ადგილას დაგერტყათ. გამოდის, რომ თქვენ უფრო მეტად აკონტროლებდით საკუთარ თავს ვიდრე გეგონათ.

წინასწარი შეფასება

26 კითხვა მოძალადის მხრიდან საფრთხის ხარისხის შესაფასებლად

სსეულის დაზიანების წინასწარი გამოკვლევა

პროფესიონალს შეუძლია გაიაროს სიის ჩამონათვალი ქალთან ერთად

ვაფრთხილება:

ამასთანავე ყოველთვის იყავით მათ გვერდით

„გთხოვთ, აღნიშნეთ კალენდარზე სავარაუდო თარიღი, როდესაც თქვენმა პარტნიორმა ან ქმარმა გცემათ. ჩაწერეთ ამ გრაფაში ამ ინციდენტების სავარაუდო სანგრძლივობა და კლასიფიკაცია გაუკეთეთ მათ ქვემოთ მოყვანილი შკალის მისუდვით“:

1. მიტყეპვა, ხელის კვრა: დაზიანების არქონა და/ან სანგრძლივი ტკივილი;
2. დარტყმა, პანლური, დაღურჯება, ქრილობები და/ან სანგრძლივი ტკივილი;
3. „ცემა“; სერიოზული დაზიანება, დამწვრობა, მოტენილობა;
4. იარაღის გამოყენების მუქარა; თავის დაზიანება, შინაგანი ორგანოების დაზიანება, მუდმივი დაზიანებები;
5. იარაღის გამოყენება: დაჭრა.

26 შეპიითხვა მოძალადის მხრიდან საფრთხის ხარისხის შესაფასებლად შეკითხვა დაზარალებულისადმი:

ძალადობის რა ფორმებსა და სახეობას აწყდებით პარტნიორის/ქმრის მხრიდან?

	კი	არა	არ ვიცი	კითხვები
1				სდებოდა თუ არა ის აგრესიული ან საშიში?
2				გაყენებდათ თუ არა ისეთ სერიოზულ სსეულის დაზიანებას, რომ თქვენ გიწვევდათ მიგემართათ სამედიცინო დახმარებისთვის?
3				როდესმე გასრჩობდათ?
4				როდესმე დაუზიანებია თქვენი სსეული ან მოუყენებია შიანი/მოუკლავს შინაური ცხოველი?
5				დაგმუქრებიათ მოკვლით?

6				ძალადობდა სექსუალურად?
7				იყენებდა თუ არა იარაღს ან გემუქრებოდათ თუ არა მისი გამოყენებით? თუ კი, მაშინ რა იარაღი იყო ეს?
8				სომ არ მომხდარა, რომ ის გამოგდევნებით თქვენ, შეუმოწმებია თქვენი ადგილმდებარეობა, განიცდიდა პათოლოგიურ ეჭვიანობას?
9				გაიზარდა თუ არა თქვენთან მიმართებაში ძალადობის შემთხვევები?
10				სომ არ დაგმუქრებიათ იმით, რომ ჩაიდენდა თვითმკვლელობას? სომ არ ყოფილა მისი მხრიდან თვითმკვლელობის მცდელობა?
11				ფესმძიმობის დროს სომ არა განიცდიდით ძალადობას?
12				უკანასკნელი წლის განმავლობაში სომ არ წასულხართ პარტნიორისგან ან შესაძლოა გიცდიათ მასთან დაშორება?
13				მიგიმართავთ თუ არა ვინმესთვის დასასმარებლად (პატრული, თავშესაფარი, კრიზისული ცენტრის თანამშრომელი)?
14				იზოლირებული ხართ თუ არა დასმარების საშუალებებისგან (მანქანა, ტელეფონი, ოჯახი, მეგობრები და ა.შ.)
15				ყოფილა თუ არა მოძალადე სტრესულ სიტუაციაში უკანასკნელი წლის განმავლობაში (სამუშაოს დაკარგვა, ახლობელი ადამიანის დაკარგვა, ფინანსური კრიზისი)?
16				იყენებს თუ არა პარტნიორი/ქმარი ალკოჰოლს?
17				მკურნალობდა თუ არა ის ალკოჰოლის/ნარკოტიკების დამოკიდებულებისგან?
18				მიუწვდება თუ არა ხელი მოძალადეს იარაღზე?
19				როგორ ფიქრობთ შეუძლია სერიოზული ზიანის მოყენება?
20				გიცდიათ თუ არა თქვენ შეგეზღუდათ ის პასუხისმგებლობისგან? (პოლიციიდან განცხადების გამოტანა, დადგომისნარ თავდებად, და ა.შ.)
21				ბავშვობაში სომ არ აწყდებოდა ძალადობას?
22				სომ არ ყოფილა დედის მიმართ განსორციელებული ძალადობის მოწმე?
23				ძალადობის ჩადენის შემდეგ ნანობს თუ არა თავის საქციელს?
24				ჩადის თუ არა მოძალადე დანაშაულს, რომელიც არ უკავშირდება ძალადობას
25				ძალადობს თუ არა სხვა ადამიანებზე, რომლებიც არ არიან ოჯახის წევრები?
26				იყენებს თუ არა ნარკოტიკს?

**კითხვები საჭიროებების
გამოსავლენად
უსაფრთხოება და უსაფრთხოების
სტრატეგია**

- რა ზომები მიგიღიათ წინასწარ, რათა დაგეცვათ საკუთარი თავი და ბავშვები?
- დაგეხმარათ თუ არა ეს?
- დაგეხმარებათ თუ არა ახლა?
- როგორ ფიქრობთ რა გესაჭიროებათ ახლა უსაფრთხოებისათვის?
- როგორ შემიძლია დაგეხმაროთ?
- კიდევ რა დაგეხმარებათ? რა სახით?
- დაგეხმარებათ თუ არა ამგვარი დაცვა რომ არა შეეჩვენოთ მოძალადეს?

უსაფრთხოების გეგმა

უსაფრთხოების საერთო გეგმა:

- მოელაპარაკეთ თქვენს მეზობლებს, რომ მათ გამოიძახონ პატრული, თუკი გაიგონებენ სმაურს და ყვირილს თქვენი სახლიდან;
- დამალეთ სათადარიგო გასაღები სახლის (მანქანის) ისე, რომ მისი აღებისას სწრაფად დატოვოთ სახლი მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში;
- უსაფრთხო, მაგრამ ხელმისაწვდომ ადგილზე დამალეთ თქვენთვის აუცილებელი თანხა, ტელეფონების წიგნი, პასპორტი, ბავშვების საბუთები, სხვა საჭირო ქალღალდეები, ასევე ზოგიერთი ტანსაცმელი და საჭირო წამალი;

- წინასწარ მოელაპარაკეთ მეგობრებს, ნათესავებს, რათა საფრთხის შემთხვევაში მოგცენ დროებითი თავშესაფარი;
- ეცადეთ გაანადგუროთ ყველაფერი, რაც დაეხმარება მოძალადეს გიპოვოთ (ჩანაწერები, კონვერტები, რომელზეც მითითებულია მისამართები და ა.შ.);
- წინასწარ შეიტყვეთ ადგილობრივი სამსახურების შესახებ, რომელსაც შეუძლია დახმარება საჭიროების შემთხვევაში (კრიზისული ცენტრი ქალებისთვის, ნდობის ტელეფონი და ა.შ.);
- წინასწარ გადაწყვიტეთ რას წაიღებთ თან ღირებული საგნებიდან (საიუველიერო ნაწარმი და ა.შ.) განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში, რომლის დაგირავება ან გაყიდვა ყოველთვის შესაძლებელი იქნება.
- თუ სიტუაცია კრიტიკულია, სასწრაფოდ დატოვეთ სახლი მაშინაც კი, თუკი თქვენ ვერ მოახერხებთ აუცილებელი ნივთების აღებას. დაისსომეთ, რომ თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია!

თუ ქალი მიდის მოძალადისგან, იმჯერეთ მასთან შემდეგ საკითხებზე:

- როგორ და როდის შეუძლია წასვლა, რათა შეინარჩუნოს უსაფრთხოება? ჰყავს თუ არა ტრანსპორტი? ფული? ადგილი, სადაც მას შეუძლია წასვლა?
- ექნება თუ არა პატრულის გამოძახების საშუალება საჭიროების შემთხვევაში?
- ვის ეტყვის იმის შესახებ, რომ მიდის?
- რისი გაკეთება შეუძლიათ მას და მის ახლობლებს, რომ მისმა პარტნიორმა/ქმარმა ის ვერ იპოვნოს?

- რამდენად უსაფრთხოა მისი გზა სამსახურამდე, ბავშვებისა – სკოლამდე და უკან?
- რომელი სასოციალიზაციო/იურიდიული რესურსი დაეხმარება მას უსრუნველყოს უსაფრთხოება? ჩაიწერეთ მისამართი და ტელეფონის ნომრები:
- იცის თუ არა ქალებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი თავშესაფრის ტელეფონი?
- რომელი იურიდიული პროცედურები დაეხმარება მას უსრუნველყოს საკუთარი და ბავშვების უსაფრთხოება?
- რომელი სასამართლო გადაწყვეტილება იქნება უფრო მეტად ოპტიმალური?

თუ ქალი რჩება მოძალადესთან, იმსჯელეთ მასთან შემდეგ საკითხებზე:

- უსაფრთხოების რა ზომებია საჭირო განსაკუთრებულ სიტუაციაში უსაფრთხოების უსრუნველსაყოფად:
- ვის შეუძლია ამ შემთხვევაში მან დაურეკოს?
- ძალადობის შემთხვევაში დარეკავს თუ არა პატრულში? არის თუ არა ტელეფონი სახლში? თუ არა, არსებობს თუ არა სიგნალი, რომლის მეშვეობითაც პატრულს გამოიძახებს მეზობელი?
- თუ მას ესაჭიროება დროებითი თავშესაფარი, სად შეუძლია წავიდეს? დაეხმარეთ გაინსენოს ის ადგილები, სადაც მას შეუძლია წავიდეს ექსტრემალურ სიტუაციაში. ჩაიწერეთ მისამართი და ტელეფონის ნომრები:

- თუ მას ესაჭიროება წასვლა, როგორ უნდა გააკეთოს ეს, რომ მოძალადემ ის არ შენიშნოს?
- თუ სახლში იარაღია, იფიქრეთ როგორ მოიშოროთ ის თავიდან:
- შეასწავლეთ მას, რომ ძალადობის შემთხვევაში მისთვის უმჯობესია ენდოს საკუთარ ინტუიციას. ზოგჯერ საჭიროა გაქცევა, ზოგჯერ – მოძალადის დამშვიდება. საჭიროა ნებისმიერი ქმედება, რაც დაეხმარება თავის დასაცავად.

გაქცევის შემთხვევაში ურჩიეთ ქალს ისრუნოს შემდეგზე:

- მოამზადოს საბუთები – პასპორტი, დაბადების მოწმობა (დედანი ან ასლი), სამედიცინო დაზღვევის პოლისი, ქორწინების მოწმობა, ავტომობილის მართვის მოწმობა, მანქანის საბუთები, განქორწინების მოწმობა და სხვა სასამართლო საბუთი.
- მოამზადოს ფული, წამლები და რეცეპტები, ტანსაცმელი და აუცილებელი ნივთები, რომელიც საჭირო იქნება მისთვის და ბავშვებისთვის სხვაგან. (ნათესაებთან, მეგობრებთან)
- წინასწარ მოელაპარაკეთ მეგობრებს დროებით თავშესაფრის მიცემაზე.
- საბუთები, გასაღები, ფული იქონიეთ ხელმისაწვდომ ადგილას, რათა მისი ადების შემთხვევაში შეძლოთ სწრაფად დატოვოთ ბინა.
- გააკეთეთ ყველაფერი, რომ მოძალადემ ვერ გაპოვნოთ. დამალეთ ან გაანადგურეთ ყველა თქვენი ჩანაწერი, კონ-

ვერტი მისასმართებით, რომლიც დაესმარება მას თქვენს მოძებნაში.

- წინასწარ შეიტყვეთ ადგილობრივ სამსახურთა ტელეფონი, რომელიც შეძლებს გაგიწიოთ აუცილებელი მსარდაქერა (კრიზისული ცენტრი ქალებისთვის, ნდობის ტელეფონი, მედიცინის მუშაკები და ა.შ.)
- თუ სიტუაცია კრიტიკულია, მაშინ აუცილებელია დატოვოთ სახლი დაუყოვნებლივ, მაშინაც კი, თუ თქვენ ვერ შეძელით აგელოთ აუცილებელი ნივთები. დაიხსომეთ, თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია!

თუ ქალი მიმართავს პატრულს დასახმარებლად:

პატრულის მოხვლის შემდგომ „შემთხვევის ადგილზე“ იყავით რაც შეიძლება მშვიდი:

- მოითხოვეთ მიიღონ მისი განცხადება. თუ პატრულის მუშაკები უარს განაცხადებენ, მოითხოვეთ მის სელმძღვანელთან შესვედრა;
- ჩაიწერეთ პატრულის მუშაკთა სახელი, გვარი, სამსახურის ტელეფონი, ოქმის ნომერი;
- უჩვენეთ პატრულის მუშაკს ყველა სხულის დაზიანება და მატერიალური ზიანი;
- უამბეთ პატრულის მუშაკს ძალადობის სხვა შემთხვევებზე თქვენთან მიმართებაში;
- უამბეთ მოწმეებზე;
- სთხოვეთ გაგზავნოთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად;

– *მეორე დღეს უმჯობესია სელასლა წახვიდეთ პოლიციაში და დატოვოთ კიდევ ერთი განცხადება მორიგე პოლიციელთან:*

– *განცხადება უნდა შეიცავდეს შეტყობინებას დანაშაულის ადგილის, დანაშაულის ჩადენის დროის, დამნაშავის პიროვნებისა და არსებული შედეგების შესახებ, თხოვნას, „აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და მიეცეს დამნაშავე პასუხისგებაში“.*

აუცილებლად მიაღვენეთ თვალყური, რომ განცხადება გატარდეს სარეგისტრაციო ყურნალში.

განცხადების შეტანის შემთხვევაში ვალდებულნი არიან ქალს მისცენ უწყების ქვითარი, სადაც მითითებული იქნება:

- ვისგან არის მიღებული განცხადება
- როდის არის მიღებული
- რა ნომრით არის დარეგისტრირებული

თუ ეს აუცილებელია, პოლიციის თანმშრომლებს მოსთხოვეთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. წარმოადგინეთ შესაძლებლობის შემთხვევაში დამამტკიცებელი ბაზა: სამედიცინო საბუთი, რომელიც ამტკიცებს ქალის სხეულზე დაზიანებებს, დანაშაულის მოწმეთა სახელები, ცემის კვალის დამადასტურებელ ფოტოები, თუკი ასეთი იყო.

შემოსულ განცხადებაზე უნდა იქნას მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

- გამოტანილია დადგენილება სისსლის სამართლის საქმის აღძვრის უარის შესახებ
- განცხადება შეიძლება გადაცემულ იქნას მიმღები პირის მიერ სასამართლოსთვის ან პროკურატურისთვის განსახილველად

თუ განცხადების შეტანიდან 3-10 დღის ვადაში არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ან ქალი არ ეთანხმება მას, მაშინ შეიძლება პოლიციის თანამშრომლის ქმედება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში. მიმართო შინაგან საქმეთა რაიონული სამსახურის უფროსს ან პროკურატურას.

ქალს, ასევე, აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი პოლიციის განყოფილებაში განცხადების მიღებისა და რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე მიმართვის გაცემის თავის არიდების, სისსლის სამართლის საქმის აღძვრის და გამოძიების გაჭინაურების, სხვა არასამართლებრივი ქმედების და უკანონო მოქმედების ორგანოთა გამოძიების ან მოკვლევისას.

თავის საჩივარი ქალს შეუძლია გაგზავნოს პოლიციის აღნიშნულ განყოფილებაში, პროკურატურაში ან სასამართლოში.

რა დასმარება შეიძლება მიიღოს ქალმა ექიმისგან


- საავადმყოფოში ან სამედიცინო პუნქტში ის ვალდებულია მოყვეს რა გარემოებებში განსორციელდა ცემა, ვისგან იქნა ის მიყენებული, სად და როდის;
- უჩვენოს ყველა მიყენებული სსეულის დაზიანება და შეატყობინოს ტკივილის შეგრძნებების შესახებ;
- ყველა ეს მონაცემი უნდა დაფიქსირდეს მორიგე ექიმის მიერ სამედიცინო ბარათზე. ამავე ბარათზე ექიმი აღწერს მიყენებული დაზიანების ხასიათს, და როგორი სამედიცინო დასმარება გაეწია ქალს.

აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ ექიმი სწორად და თანმიმდევრულად აღწერს სსეულის დაზიანების ადგილმდებარეობას, მათ ზომას, განვითარების ვადას, მიყენების სერსს.

- აუცილებელია მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ქალმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას სსეულის დაზიანების მიზეზით;
- ცნობაში უნდა იქნას მითითებული: ბარათის ნომერი, მიმართვის თარიღი, ექიმის სახელი და გვარი გასაგებად, სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი.

Практическое пособие для социальных работников в сфере домашнего насилия

Тбилиси
2009



Издание подготовлено в рамках проекта Трастового Фонда ООН по преодолению насилия в отношении женщин «Межведомственные и общественные меры по устранению домашнего насилия в Грузии: совместные усилия по исполнению законодательства в сфере борьбы с насилием в Грузии».

Проект осуществляют организации:



Международный женский центр просвещения и информации

Женский информационный центр



Динамическая психология для развития и демократии



Общество женщин-демократов Самцхе-Джавахети

Надежда женщин



В рамках проекта функционирует сайт www.nasilie.net

Электронную версию книги и контактную информацию организаций, работающих в сфере домашнего насилия в Грузии Вы можете найти на Портале: www.ginsc.net

Тренинговый модуль был подготовлен опираясь на украинский опыт и окончательная грузинская версия разработана в сотрудничестве с Ассоциацией социальных работников Грузии и Фондом развития медицины и общественного здравоохранения.

Тренинговый модуль прошел апробацию в Гори, на тренинге, 23-24 января 2009 года, с участием социальных работников, представляющих государственные структуры и неправительственные организации.

Над публикацией работали:

Олена Банас

Заместитель директора Фонда превенции зависимости
от химических веществ и ВИЧ/СПИДА

Елена Русецкая

Координатор женского информационного центра;
директор проекта

Редактор:

Нино Модебадзе

Дизайн обложки:

Елена Навериани

Верстка:

Паата Мампория



Издано в Женском Полиграфическом Сервисе
Тел: (995 32) 94 26 99
Эл-почта: wps@ginsc.net

ISBN 978-9941-0-1724-7

Содержание

Предисловие	64
План действий для специалистов по социальной работе.	65
Профилактика синдрома выгорания.	67
Поддержка в кризисных ситуациях	74
Навыки консультирования	77
Службы поддержки	81
Подготовка психологов и социальных работников	83
Интервенция (Вмешательство / реагирование)	90
Раздаточный материал.	96

Предисловие

Уважаемый читатель!

Вы держите в руках публикацию, содержащую описание тренингового модуля для социальных работников, подготовленную в рамках проекта «Межведомственные и общественные меры по устранению домашнего насилия в Грузии: совместные усилия по исполнению законодательства в сфере борьбы с насилием», осуществляемого пятью женскими неправительственными организациями Грузии, при поддержке Тростового Фонда ООН по преодолению насилия в отношении женщин.

Тренинговый модуль представленный Вам прошел апробацию во время двух циклов тренинга с участием социальных работников представляющих государственные структуры и НПО. Нашей целью было предоставить практикующим социальным работникам информацию о феномене домашнего насилия и специфике работы с его жертвами. Специальная подготовка соц. работников началась в Грузии не так давно. Поэтому исключительно важно объединить усилия формального и неформального образования для обеспечения повышения квалификации тех, кто зачастую первым вступает в контакт с жертвой или насильником. Издания содержат краткое и детальное описания тренингового модуля, раздаточные и учебные материалы. Мы надеемся, что вы сможете успешно применить тренинговый модуль в своей работе, а также обогатить его своими замечаниями и рекомендациями. Мы также надеемся, что проблематика домашнего насилия найдет свое отражение в государственных образовательных программах для социальных работников, а гражданское общество выступит ресурсом в подготовке подобных программ. Сегодня мы делаем первый шаг.

 Команда проекта

План действий для специалистов по социальной работе

